www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — ორშაბათი, 7 აგვისტო, 2006 წელი. №176 (1328) — ფასი 50 თეთრი



24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge


# კოდორის შემდეგ

## საჭიროა ფართო საერთაშორისო მონაწილეობა


დევიდ ჯ. სმითი
*სპეციალურად "24 საათისთვის"*


რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი საერთაშორისო დამკვირვებლების კოდორის ხეობაში შეყვანის წინადადებით გამოვიდა - საქართველოს ხელისუფლების ნაბიჯთან დაკავშირებით, ბოლო მოელო ხეობაში შეიარაღებული ფორმირება "მონადირის" თარეშისთვის. მსგავსი ერთჯერადი აქცია, ასეთ მცირე ტერიტორიაზეც კი, შესაძლოა, ნაკლებად იყოს შედეგიანი. მიუხედავად ამისა, კეთილგანწყობილ ადამიანებს შეუძლიათ განავითარონ კონცეფცია ფართო საერთაშორისო მონაწილეობის შესახებ, რომელიც საქართველოში ტერიტორიული კონფლიქტების მოგვარების თვალსაზრისით წინგადადადგმული ნაბიჯი იქნებოდა.

"გაერო-ს დამკვირვებლები და მშვიდობისმყოფელები მოითხოვენ საქართველოს ე.წ. პოლიციური ძალების ინსპექტირებას" კოდორის ხეობაში, - განაცხადა ივანოვმა 31 ივლისს. თუ არ გავითვალისწინებთ გენერალ-მაიორ სერგეი ჩაბანს, რომელიც აფხაზეთში რუსული სამშვიდობო ძალების მეთაურია და, რომელიც რუსეთის თავდაცვის მინისტრის პირდაპირ დაქვემდებარებაშია, არანაირი მოთხოვნა კოდორში საერთაშორისო ჯგუფის გაგზავნის შესახებ არ ყოფილა. ეს ბუნებრივიცაა, 12 ივლისის შემდეგ მთელი მსოფლიოს ყურადღება მიპყრობილია ახლო აღმოსავლეთზე და არა სამხრეთ კავკასიაზე. თუმცა, გაფართოებული საერთაშორისო მისია საქართველოში კარგი იდეაა.

სერიოზული იყო თუ არა მოსკოვის განცხადებები კონფლიქტის კონსტრუქციული მოგვარების შესახებ?

სამწუხაროდ, ამ უკანასკნელის ქმედებები მთელი წლის განმავლობაში საპირისპიროზე გვაფიქრებინებს. 22 იანვარს ერთდროულად მომხდარმა აფეთქებებმა ორ გაზსადენსა და მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ "კავკასიონზე", საქართველო მთელი ერთი კვირით დატოვა ყინვასა და სიბნელეში. აფეთქებათა დრო და ადგილი, ისევე როგორც მოსკოვის თანდართული ცინიზმი, სულ მცირე - რუსეთის თანამონაწილეობაზე მაინც მიუთითებს.

შემდეგ, 27 მარტს, რუსეთმა აკრძალა საქართველოდან ღვინის, სპირტიანი სასმელებისა და მინერალური წყლების იმპორტიც, თითქოსდა იმ საბაბით, რომ ისინი მომწავლელ ნივთიერებებს შეიცავდნენ.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ვარიაციები თბილისის მერის თემაზე

ტელეკომპანია "რუსთავი-2"-ის ცნობით, გუშინ ოპოზიციურმა პარტიებმა ბადრი პატარკაციშვილის ოფისში, დახურულ კარს მიღმა, კონსულტაციები გამართეს. მოლაპარაკებების მიზანი, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე ოპოზიციის გაერთიანება იყო.

გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატურა, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში თბილისის მერის თანამდებობისთვის იბრძოლებს, შესაძლოა, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში გიორგი ხაინდრავა იყოს.

როგორც პარტია "ახალი მემარჯვენეების" გენერალურმა მდივანმა დავით საგანელიძემ განაცხადა, ხუთი ოპოზიციური პარტიის კონსულტაციისას, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს მიეძღვნა, ოპოზიციის ერთ-ერთ კანდიდატად გიორგი ხაინდრავა დასახელდა.

**"თუმცა, ხაინდრავას კანდიდატურა, ჯერჯერობით, მხოლოდ მოსაზრების დონეზე რჩება და არანაირი გადაწყვეტილება არ არის მიღებული. ასეთი კონსულტაციები მხოლოდ მოთელვით ხასიათს ატარებს. აღსანიშნავია ისიც, რომ თბილისის მერის პოსტზე "კონსერვატორებს" კობა დავითაშვილის, რესპუბლიკელებს კი თინათინ ხიდაშელის კანდიდატურები ჰყავთ,"** - აღნიშნა საგანელიძემ. ამასთან, "მემარჯვენეები" უკვე აღარ აყენებენ ეჭვის ქვეშ არჩევნებში მონაწილეობას და აცხადებენ, რომ ბოიკოტის მომხრეებს არ შეუერთდებიან.

ყოფილი სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში გიორგი ხაინდრავა "არასერიოზულს" უწოდებს გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, თითქოს, ის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში თბილისის მერის თანამდებობაზე გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატურა იქნება.

**"ეს ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების მოსაზრებაა. მე, ჯერჯერობით, ამ თემაზე მოსაზრება არა მაქვს და საერთოდ, დღეს ჩემს კანდიდატურაზე საუბარი არასერიოზულად მიმაჩნია. ამ ეტაპზე ჩემი მთავარი მიზანი კარგად დასვენებაა,"** - განაცხადა ყოფილმა სახელმწიფო მინისტრმა.

*24 საათი*

# "იტერა" საქართველოს მთავრობას უჩივის


მარიამ ჭაჭვაძე


*"იტერა-LLC" საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოში უჩივის. კომპანია ქართული მხარის მიერ მის მიმართ წლების განმავლობაში დაგროვილი რამდენიმე მილიონიანი დავალიანების დაფარვას ითხოვს.*

"იტერა LLC" საერთაშორისო ენერგეტიკული კომპანიის "იტერას" შვილობილი კომპანიაა, რომელსაც "იტერა-საქართველომ" ვალების ამოღებაზე პასუხისმგებლობა "დაუთმო". ამ უკანსკნელის ოფიცილაური წარმომადგენელის თამაზ პატარიძის ინფორმაციით, ამ დროისთვის საქართველოს ვალი "იტერას" მიმართ 13 მილიონ 600 ათასს აღემატება, რომელიც ქართულ მხარეს 2001 წლამდე დაუგროვდა.

გაგრძელება A5 გვერდზე



# სამომხმარებლო ფასების ინდექსი გაიზარდა

საქართველოში სამომხმარებლო ფასების ინდექსმა მიმდინარე წლის ივლისში, ივნისთან შედარებით 100,8 პროცენტი, შესაბამისად, ინფლაციის დონემ - 0,8 პროცენტი შეადგინა.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, ივლისში წინა წლების შესაბამისი პერიოდებისგან განსხვავებით 0,8 პროცენტიანი ინფლაცია ძირითადად სურსათზე, მათ შორის ბოსტნეულზე 7,6 პროცენტით, რძის, ყველისა და კვერცხის ჯგუფზე - 1,4 პროცენტით და მომსახურების სფეროზე - 3,1 პროცენტით, სამომხმარებლო ფასების ზრდამ განაპირობა. დეპარტამენტის მონაცემებით, სამომხმარებლო ფასების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა მწვანილზე 111 პროცენტით, ხმელ ლობიოზე - 14,2 პროცენტით, პომიდორზე - 6,6 პროცენტით, კარტოფილზე - 6 პროცენტით, ხახვზე - 6,1 პროცენტით, კიტრზე - 2,7 პროცენტით, ყველზე - 7,1 პროცენტით და ა.შ., რაც არასახარბიელო კლიმატური პირობების გამო ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სამომხმარებლო ბაზარზე მიწოდების დეფიციტით შეიძლება აიხსნას. პრაქტიკულად, 2006 წლის ივლისში ბოსტნეულის სავაჭრო ქსელი მნიშვნელოვან წილად იმპორტზე იყო ორიენტირებული. ამასთან ერთად, ფასები გაიზარდა ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოს ნაწარმზე 0,4 პროცენტით. კერძოდ, გაძვირდა იმპორტული ლუდი 1,5 პროცენტით, კონიაკი - 1,8 პროცენტით, ადგილობრივი ლუდი - 4,3 პროცენტით, ადგილობრივი უფილტრო სიგარეტი - 2,5 პროცენტით და ა.შ.

2006 წლის ივლისში წინა თვესთან შედარებით სამომხმარებლო ფასები შემცირდა ატამზე - 34,7 პროცენტით, საზამთროზე - 7 პროცენტით, მწვანე ლობიოზე - 37 პროცენტით და ა.შ. რაც შეეხება მომსახურების სფეროს, სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, 2006 წლის ივლისში წინა თვესთან შედარებით სამშობიარო მომსახურება 30,9 პროცენტით გაძვირდა, რამაც ძირითადად ჯანდაცვის ჯგუფზე 10,3 პროცენტიანი ფასების ზრდა დააფიქსირა, ხოლო შორი მიმოსვლის მატარებლის ფასების 15,6 პროცენტით გაძვირებამ ტრანსპორტის ჯგუფზე 0,7 პროცენტით ზრდა გამოიწვია.

ამასთან, 2006 ივლისში, შედარებით უმნიშვნელოდ, მაგრამ კვლავ ადგილი ჰქონდა საწვავზე ფასების შემცირების ტენდენციას. კერძოდ, ფასები შემცირდა ბენზინზე - 0,5 პროცენტით, ხოლო დიზელის საწვავზე - 1,0 პროცენტით.

*ინტერპრესნიუსი*

# ჟან-პოლ ბელმონდოს ორდენი




# "საჭიროა თქვენი სიმკაცრე" - მითითება მოსამართლეებს

მოსამართლეობის მსურველთა რაოდენობის ზრდის მიუხედავად, სასამართლოებში არსებული ვაკანსიების შევსება ჯერჯერობით ვერ ხერხდება. ჩვენი ინფორმაციით, სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში 108 ადგილი კვლავ ვაკანტური რჩება.

ამის მიზეზად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ვალერი ცერცვაძე მოსამართლეობის მსურველთა არასაკმარის კვალიფიკაციას ასახელებს.

**"თუკი ადრე კონკურსში 300 კანდიდატი მონაწილეობდა, ახლა მათი რიცხვი 1000 აჭარბებს, თუმცა არასაკმარისი კვალიფიკაციისა თუ მოსამართლისთვის აუცილებელი სხვა თვისებების უქონლობის გამო, შესაფერისი კანდიდატურების ამორჩევა სირთულეს წარმოადგენს,"** - აცხადებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი.

მოსამართლეთა მეხუთე კონფერენციაზე, რომელსაც რეგიონიდან ჩამოსული 400-მდე მოსამართლე ესწრებოდა, გაირკვა, რომ უკანასკნელ კონკურსში მოსამართლეობის 1000 მსურველი მონაწილეობდა, მაგრამ მათგან მხოლოდ 63 შეირჩა.

**"ფაქტია, რომ ვერ ვახერხებთ კვალიფიციური მოსამართლეების მოძიებას,"** - განაცხადა ვალერი ცერცვაძემ.

კონფერენციაზე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კოტე კუბლაშვილმა მოსამართლეებს გააცნო ის სიახლეები, რომლებიც უახლოეს მომავალში სასამართლო სისტემაში განხორციელდება.

კუბლაშვილმა ყურადღება გაამახვილა პირველი ინსტანციის სასამართლოებზე და აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში 13 ასეთი სასამართლო გაიხსნება და მაგისტრი მოსამართლეებით დაკომპლექტდება. მისი თქმით, ეს სიახლე მოსამართლის მუშაობას უფრო ნაყოფიერს და კომფორტულს გახდის, რადგან მას აღარ მოუწევს დღეში რამდენიმე სხვადასხვა მიმართულების საქმის განხილვა. კუბლაშვილმა მოსამართლეებს აცნობა, რომ 2010 წლამდე მათი ხელფასი ეტაპობრივად გაიზრდება.

გაგრძელება A4 გვერდზე

## სამართალი

### უსაფრთხოება საქართველოში

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებელთა მისიის ორგანიზებით და განვითარებისა და თანამშრომლობის შვეიცარიის სააგენტოს დაფინანსებით, საქართველოს საზოგადოებრივი აზრის კვლევის ინსტიტუტმა საზოგადოებრივი უსაფრთხოების ასპექტებთან დაკავშირებით საქართველოს ყველა რეგიონში კვლევა ჩაატარა.

A4

## ბიზნესი

### სიღარიბეს ახალი მეთოდით დაადგენენ

მსოფლიო ბანკის აქტიური მეთოდოლოგიური მხარდაჭერითა და რეკომენდაციებით სტატისტიკის დეპარტამენტი გეგმავს უახლოეს მომავალში გადავიდეს სიღარიბის მაჩვენებლების გაანგარიშების თანამედროვე მეთოდოლოგიაზე.

A5

## სპორტი

### უხვგოლიანობის სინდრომი

ფეხბურთში გუშინ გამართულმა საქართველოს ჩემპიონატის მეორე ტურმა ლოგიკურად, მოულოდნელი და სენსაციური შედეგების გარეშე ჩაიარა. არაორდინარალური მხოლოდ ის იყო, რომ მატჩების უმეტესობაში შესაშური შედეგიანობა აღინიშნა.

A6


საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


## ამინდი

| | 7/08 | 8/08 |
|---|---|---|
| თბილისი | 41 | 41 |
| ბათუმი | 43 | 44 |
| სოხუმი | 41 | 40 |
| ქუთაისი | 45 | 45 |
| გორი | 37 | 38 |
| ონი | 33 | 31 |
| ზუგდიდი | 46 | 45 |
| ახმეტა | 40 | 40 |
| სამტრედია | 45 | 45 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7630 |
| ევრო | 2.2552 |
| ბირთანქა სტერლ. | 3.3342 |
| რუბლი | 0.0659 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| ბიზნესი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |

გახსენება

# ჟანი

## დღეს ჟანი კალანდაძის დაბადების დღეა



დათო ტურაშვილი

ჩვენ უნივერსიტეტელები ვიყავით და ისინი კი გეპეიში სწავლობდნენ, მაგრამ ურთიერთობის, თანადგომისა და მეგობრობის ტრადიცია ჯერ კიდევ პირველი სტუდენტური მიტინგების დროს გაჩნდა, როცა ყველანი ერთად ვიდექით ხოლმე ჩვენი ოცნებების დასაცავად და ისინიც ყოველთვის მოდიოდნენ დასახმარებლად, თუ გვიჭირდა. ამიტომაც ვიცნობდით გეპეის სტუდენტებსაც და ეს ტრადიცია მაშინაც გაგრძელდა, როცა ჩვენ სტუდენტები აღარ ვიყავით. ჟანი კალანდაძეც მერე გავიცანი, როცა მიტინგების დიდი და პირველი ტალღა უკვე ჩავლილი იყო, მაგრამ მას აშკარად ეტყობოდა, რომ მშვიდი ცხოვრებისთვის არ იყო დაბადებული და ასეთი ადამიანები კი ყოველთვის გამოირჩევიან სხვებისგან და მათ მიმართ ინტერესიც ყოველთვის გამორჩეულად მაქვს. შეიძლება ამიტომაც მიხაროდა მასთან შეხვედრა, თუნდაც შემთხვევით, თუნდაც ქუჩაში, თუნდაც სულ ცოტა ხნით, მაგრამ ის მაინც ასწრებდა მოსწრებულ ხუმრობას და ჟანი, ღიმილის გარეშე, არც მახსენდება. დანამდვილებით ვიცი, რომ მათ, ვისთვისაც იუმორის გრძნობა განუყრელია და ერთი შეხედვით არასერიოზული ადამიანების შთაბეჭდილებას ტოვებენ, უფრო დიდი ტკივილები დააქვთ გულით და უფრო დიდი საფიქრალი - გონებით. შეიძლება სწორედ ამან განაპირობა კიდეც მისი თანხმობა ძალიან დიდ არჩევანსა და პასუხისმგებლობაზე, როცა ჟანი გურიის გუბერნატორი გახდა ვარდების რევოლუციის შემდეგ და ვინც მას პირადად იცნობდა, მათაც კი ეეჭვებოდა მისი წარმატება მშობლიურ გურიაში. თბილისიდან გურიის სამართავად ჩასული უცნობი ახალგაზრდა კაცის დანახვა, გურულებისთვისაც სკეპტიციზმის საფუძველი იყო, თუნდაც იმ მარტივი მიზეზების გამო, რომ გუბერნატორები არსად არ უყვართ და მითუმეტეს გურიაში. გუბერნატორები გურიაში მეოცე საუკუნის დასაწყისიდან არ უყვართ, როცა გურიის ტყეებში მომრავლებული ფირალების გამო, ალიხანოვ-ავარსკიმ ტყეების მთლიანად გადაწვა გადაწყვიტა და ზუსტად ასე მისწერა კიდეც რუსეთის იმპერატორს - გურიაში ტყეებს მოვსპობ და ფირალებიც გაქრებიანო...

მეოცე საუკუნის ბოლოს კი, წარმოშობით გურულმა შევარდნაძემ, კუთხურობის შიშით, ძველბოლშევიკური პრინციპით იხელმძღვანელა და ყველაზე ნაკლები ყურადღება მშობლიურ გურიას მიაქცია, რომელიც მართლა სრულიად გაპარტახებული დახვდა ჟანი კალანდაძეს, როცა ის გუბერნატორი გახდა. გურიაში არაფერი იყო, რაც ადამიანებს სჭირდებოდათ და გურულებს აკლდათ ყველაფერი, რაც ჩვენს დროში ადამიანს უნდა ჰქონდეს, თუნდაც ყველაზე აუცილებელი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. სხვაგან არ ვიცი და ალბათ საქართველოს ისტორიაში არ არსებობს გუბერნატორი, რომელმაც თავისი მოღვაწეობა ისე დაიწყო, როგორც ჟანი კალანდაძემ - პირველი, რაც მოიფიქრა, ახალი წიგნების შეძენა იყო სკოლებისა და ბიბლიოთეკებისთვის. გურიაში ჩასვლიდან მეორე დღესვე დაგვირეკა და გვთხოვა, თბილისის მაღაზიებსა და გამომცემლობებში წიგნები შეგვერჩია და შეგვეკრიბა გურიაში გასაგზავნად. რა უნდა გვეპასუხა - შენ გურიას მიხედე და წიგნებს ჩვენ მოვაგროვებთო, და ასეც მოხდა, მაგრამ ჟანის სურდა, რომ წიგნებს ჩვენც ჩავყოლოდით გურიაში და რამდენჯერმე ამიტომაც გადაიდო იქ წიგნების ჩატანა და ბოლოს ისე დაგვიანდა, რომ როცა გურულებისთვის შეძენილი წიგნები გურიაში ჩავიტანეთ, ჟანი კალანდაძე ცოცხალი აღარ იყო. ის ძალიან ცოტა ხანს იყო გუბერნატორი და ამიტომაც გვაკვირვებდა ადამიანთა გაბრწყინებული თვალები და სახეები, როცა მათ ვუხსნიდით, რომ ეს წიგნები, ჟანი კალანდაძის უკანასკნელი საჩუქარი იყო მათთვის. ყველგან, ნებისმიერ სკოლაში, ბავშვთა სახლსა თუ ბიბლიოთეკაში, გვეუბნებოდნენ ერთიდაიგივეს - რომ ჟანისაგან გრძნობდნენ განსაკუთრებულ ყურადღებასა და მზრუნველობას და ჩვენ ვგრძნობდით, როგორ უყვარდათ ამის გამო ყველაზე ახალგაზრდა გუბერნატორი; მაგრამ პირადად ჩემთვის ეს არ იყო გასაკვირი, რადგან ძალიან სწრაფად შეიძლება შეიყვარო კარგი ადამიანი. ჩემთვის დაუჯერებელი და გასაკვირი იყო თვითონ ჟანი კალანდაძის ენერგია, რომლის გამოც ის ასწრებდა ყველგან ყოფნას და მიუხედავად დროის სიმწირისა, მან მოასწრო ყველაზე მთავარი - ადამიანები დაარწმუნა, რომ რაც ადამიანს ყველაზე მეტად სჭირდება, მეორე ადამიანია.

როცა წიგნები ყველგან მივიტანეთ, სადაც მათ ელოდებოდნენ, მერე ოზურგეთის ცენტრში დავდექით და პირდაპირ ქუჩაში დავურიგეთ ხალხს ჟანის უკანასკნელი საჩუქრები და ეს ადამიანები საკუთარი თვალით ვნახეთ და ამ ადამიანებისაგან თვითონ მოვისმინეთ ყველაფერი, რაც მხოლოდ გადმოცემით ვიცოდით. ჟანი კალანდაძე ისე დაბრუნდა თბილისში, როგორც წავიდა, ჰქონდა ზუსტად იმდენი და ჰქონდა ზუსტად ის, რაც გუბერნატორობამდე გააჩნდა - მხოლოდ სურვილი იმისა, რომ გურიაში რაღაც შეცვლილიყო, შეცვლილიყო უკეთესობისკენ და თუ ასეთი რამ გურიაში მოხდება, აუცილებლად გაახსენდებათ თბილისელი ბიჭი, რომელიც სხვა გუბერნატორებს, უბრალოდ, არ ჰგავდა.

თუმცა, ჟანი კალანდაძე თბილისში არ დაბრუნებულა, ის გზაში გარდაიცვალა, თბილისისაკენ ძალიან სწრაფად მომავალი, მხოლოდ იმიტომ, რომ მალევე უკან დაბრუნებულიყო...

## მინძაევის "თეორია"

"სამხრეთ ოსეთში საქართველოს შეჭრის გეგმა ჩაიშალა," - განუცხადა დე-ფაქტო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა მიხეილ მინძაევმა სააგენტო "რეგნუმს".

მისი თქმით, საქართველო მზად იყო "სამხრეთ ოსეთში" შეჭრისთვის, მაგრამ "საერთაშორისო თანამეგობრობამ მას ამ გეგმის განხორციელებაში ხელი შეუშალა".

მისივე მტკიცებით, ქართული მხარე არ იტყვის უარს პროვოკაციებზე, თუმცა "პროვოკაციები საქართველოს ძვირი დაუჯდება, როგორც მორალური, ასევე მატერიალური თვალსაზრისით".

"ჩვენ რუსეთის ნაწილი ვართ. ოსი ერი ერთიანია და არავის აქვს უფლება, დაგვყოს სამხრეთად და ჩრდილოეთად," - აცხადებს მინძაევი და დასძენს, რომ "ყველა, ვინც ამბობს, რომ საქართველოს მხრიდან აგრესიის შემთხვევაში რუსეთი არ ჩაერევა, ძალიან ცდება".

მინძაევი ასევე საუბრობს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში საქართველოს ძალოვანი სტრუქტურის მიერ შეიარაღების ზრდაზე. მისივე თქმით, გამკაცრებულია ქართულიდან ოსური სოფლებისკენ მიმავალი გზების კონტროლი.

მინძაევი აცხადებს, რომ რთული სიტუაცია შეიქმნა სოფელ ავნევთან, სადაც "შეიარაღებული ნიღბიანები, თითქოს დოკუმენტების შემოწმების მიზნით, ხალხს ჩხრეკენ და მათ საპასუხო ქმედებებს ელოდებიან". თუმცა, მინძაევის თქმით, არ შეიძლება "მათ პროვოკაციაზე წამოგება, რადგანაც ეს ვითარებას კიდევ უფრო გაამწვავებს".

*ინტერპრესნიუსი*

## ეუთო-ს მისიის წარმომადგენლებს იარაღით დაემუქრნენ

5 აგვისტოს ეუთო-ს მისიის დამკვირვებლები - ესტონელი ოფიცერი, მაიორი კრისტ ჯან მორა და უნგრელი ოფიცერი, მაიორი ლასლო კოვარი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დამოუკიდებელ მონიტორინგს ატარებდნენ.

დამკვირვებლებმა ოსურ სოფელ ტბეთთან ახლად გათხრილი სანგრები აღმოაჩინეს, რომელიც ფოტო-ფირზე აღბეჭდეს. მათ ეგრეთ წოდებულმა "აპალჩენცებმა" გადაუღობეს გზა და სოფლის სიღმეში შესვლის საშუალება არ მისცეს. შეიარაღებულმა ოსებმა დამკვირვებლებს სასწრაფოდ ტერიტორიის დატოვება მოსთხოვეს და დაშინების მიზნით ჰაერში რამდენჯერმე გაისროლეს.

მომხდარის გამო დაუყოვნებლივ შეიკრიბა ერთობლივი მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც შემთხვევის ადგილზე გაემგზავრა. ეუთო-ს დამკვირვებლებმა კონფლიქტის ზონაში ახლად გათხრილი სანგრების არსებობა დაადასტურეს და შესაბამისი ოქმიც გააფორმეს. მათ მომხდართან დაკავშირებით რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალს მარატ კულახმეტოვსაც აცნობეს, თუმცა ამ ფაქტს სამშვიდობოების მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია.

*მედიანიუსი*

## რუსი პოლიტოლოგის ვარაუდები

"აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, წელიწადნახევრის შემდეგ რუსეთს შეუერთდება," - აცხადებს თავდაცვითი ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრის მოსკოვის ოფისის ხელმძღვანელი, პოლიტოლოგი ივან საფრანჩუკი.

მისი აზრით, რაც უფრო ნაკლებად სურს საქართველოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება, მით უფრო მეტია ამ ტერიტორიების რუსეთის შემადგენლობაში ხილვის შანსი.

საფრანჩუკი მიიჩნევს, რომ საქართველოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ ძალის გამოყენების ეშინია, რადგან შესაძლოა, აფხაზებმა ქართველების წინააღმდეგ მასშტაბური პარტიზანული ომი გააჩაღონ, რაც საქართველოს ინტერესებში არ შედის. ამას გარდა, აფხაზეთს, სავარაუდოდ, რუსეთი დაეხმარება, თუნდაც მხოლოდ ჩრდილოკავკასიელი მოხალისეების სახით, რაც საქართველოს მდგომარეობას კიდევ უფრო გაართულებს.

ექსპერტის თქმით, საქართველოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ძალისმიერი მეთოდებით დაბრუნების შანსი არა აქვს.

უახლოეს მომავალში საქართველოს ნატო-ში შესვლასთან დაკავშირებული სრულფასოვანი დიალოგი დაიწყება. პოლიტოლოგის თქმით, საქართველომ ამ დიალოგის დაწყებისთანავე უნდა მოაგვაროს თავისი ტერიტორიული პრობლემები. ნატო-ში შესულ საქართველოს კი შეუძლია საომარი განცხადებების გაკეთება, თუმცა მისი პარტნიორები საქართველოს მხრიდან სამხედრო კამპანიის წამოწყებით ნამდვილად არ აღფრთოვანდებიან. მითუმეტეს, თუ ნატო-ს წევრი საქართველო საომარი მოქმედებების დაწყებას იმ ტერიტორიაზე გადაწყვეტს, რომელსაც რუსეთის შემადგენლობაში შესვლა სურს.

*მედიანიუსი*

## პალესტინის პარლამენტის სპიკერი დაპატიმრებულია

ისრაელელმა ჯარისკაცებმა პალესტინის პარლამენტის სპიკერი აზიზ დუაიკი საკუთარ სახლში რამალაში დააპატიმრეს. დუაიკი რადიკალური დაჯგუფება "ჰამასის" უმაღლეს ხელმძღვანელთა შორის ერთ-ერთია, რომელიც პალესტინის ავტონომიას მართავს.

ისრაელელმა სამხედროებმა დაადასტურეს პალესტინელი სპიკერის დაკავების ფაქტი და განაცხადეს, რომ ეს "კანონიერი აქციაა, რადგანაც დუაიკი "ჰამასის" ხელმძღვანელობაში შედის".

პალესტინის პრემიერმა ისმაილ ჰანიამ დაგმო დუაიკის დაკავების ფაქტი და არაბული ქვეყნის პარლამენტარებს ასევე ამ ფაქტის დაგმობისკენ მოუწოდა. ღაზას სექტორში კი ბრძოლები გრძელდება. წუხელ რაფაჰის დაბომბვის შედეგად ახალგაზრდა პალესტინელი დაიღუპა. მანამდე კი, ებრაელთა მიერ ღაზას სექტორზე მიტანილი იერიშისას, ოთხი ადამიანი დაიღუპა.

*ინტერპრესნიუსი*

## რუსეთი "ბლექსიფორის" ხელმძღვანელი გახდა

რუსეთის საზღვაო ფლოტი შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო გაერთიანება "ბლექსიფორის" ხელმძღვანელი გახდა. რუმინეთისაგან რუსეთისათვის სარდლობის გადაცემის ოფიციალური საზეიმო ცარემონიალი ნოვოროსიისკში გაიმართა. მომავალი ერთი წლის განმავლობაში "ბლექსიფორის" საქმიანობას კოორდინაციას პირველი რანგის კაპიტანი მიხაილ სუხვალი გაუწევს. მისი განცხადებით, "ბლექსიფორში" მონაწილე ქვეყნების (რუსეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, თურქეთი, საქართველო) სამხედრო ფლოტების მწყობრი ურთიერთქმედება წლიდან წლამდე უმჯობესდება. "ფართოვდება კონტაქტები, ღრმავდება შავი ზღვის ქვეყნების სახელმწიფოების კეთილმეზობლობის პრინციპები," - განაცხადა სუხვალმა.

შეგახსენებთ, რომ შავი ზღვის ჯგუფების სამხედრო-საზღვაო გაერთიანება - "ბლექსიფორის" ჩამოყალიბებაზე შეთანხმებას 2001 წლის 2 აპრილს სტამბულში მოეწერა ხელი. მისი მიზანია სამაშველო, ჰუმანიტარული, ნაღმსაწინააღმდეგო და გარემოს დაცვითი ოპერაციების ჩატარება.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ორი სიტყვით

7 აგვისტოს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი სოხუმს ეწვევა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განმარტებით, კარასინის ვიზიტის მიზანი ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების პროცესის განახლებისთვის ხელშეწყობაა, რომელშიც რუსეთი შუამავლის სტატუსით მონაწილეობს. კარასინი სოხუმში შეხვედრებს გამართავს სეპარატისტული ხელისუფლების ხელმძღვანელთან სერგეი ბაგაფშთან, სეპარატისტთა საგარეო საქმეთა მინისტრთან სერგეი შამბასთან, კოლექტიური სამშვიდობო ძალების სარდალთან სერგეი ჩაბანთან და საქართველოში გაერო-ს დამკვირვებელთა მისიის წარმომადგენლებთან. **მედიანიუსი**

■ ■ ■

გუშინ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ხაშურის რაიონის სოფელ ოსიაურში გაემგზავრა, სადაც თავდაცვის სამინისტროს რეზერვისტთა ბანაკში 10 დღეს გაატარებს. როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში განაცხადეს, 10 დღის განმავლობაში პრეზიდენტი რეზერვისტების გვერდით იცხოვრებს და მომზადების სრულ კურსს გაივლის. მიხეილ სააკაშვილი თბილისში 16 აგვისტოს დაბრუნდება. **მედიანიუსი**

■ ■ ■

17-18 აგვისტოს მოსკოვში ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების საკითხებზე მომუშავე შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა გაიმართება. კომისიის რუსული მხარის თანათავმჯდომარის იური პოპოვის თქმით, სხდომაზე მხარეები კონფლიქტის ზონის ეკონომიკურ რეაბილიტაციასთან და ერთობლივი სამუშაო ჯგუფის მუშაობის დაწყებასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავენ. ასევე, პოპოვის თქმით, სამუშაო ჯგუფმა კონფლიქტის მოგვარების ერთობლივი სამოქმედო გეგმა უნდა შეიმუშავოს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

პოლიტოლოგი თემურ იაკობაშვილი "უსაფუძვლოს" უწოდებს ოპოზიციური პარტიების ზოგიერთი წარმომადგენლის ეჭვს, რომ პარტია "საქართველოს გზის" ლიდერი სალომე ზურაბიშვილი სახელისუფლებო ორბიტაზე ტრიალებს და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მის პარტიას ხელისუფლება ოპოზიციისთვის ხმების წართმევის მიზნით გამოიყენებს. იაკობაშვილის აზრით, სალომე ზურაბიშვილი საკმაოდ სერიოზულად არის ნაწყენი ხელისუფლებაზე და მისი მმართველ პარტიასთან თანამშრომლობა გამორიცხულია.

"უბრალოდ, ზურაბიშვილი ახალი ტიპის პოლიტიკური ძალის დამკვიდრებას ცდილობს და არ სურს ასოცირდებოდეს უკვე ცნობილ ოპოზიციურ სახეებთან. სწორედ ეს არის მისი დამოუკიდებელი ქმედებების მთავარი მიზეზი," - ამბობს იაკობაშვილი. მისივე განმარტებით, "ზურაბიშვილის ასეთი პოზიცია სერიოზულ შედეგებს თვითონ სალომე ზურაბიშვილს ჯერ ვერ მოუტანს, მაგრამ მომავალში შეიძლება ის სერიოზულ პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბდეს". **მედიანიუსი**

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

გთავაზობთ
ფასდაკლებას საერთაშორისო საუბრებზე

10 % - დან 30 % - მდე

აირჩიეთ **ორი** ნომერი და დაარეგისტრირეთ "საქართველოს ტელეკომში"
**ერთი ნომერი** - ადგილობრივი, საიდანაც რეკავთ (ქალაქის ტელეფონი)
**მეორე ნომერი** - საზღვარგარეთ, ვისთანაც ისურვებდით ფასდაკლებით საუბარს (ქალაქის ან მობილური ტელეფონი)

რეგისტრაციისათვის:
დარეკეთ ტელეფონზე - **442020** (დარეგისტრირება უფასოა)
ან
მობრძანდით "საქართველოს ტელეკომის" საკომუნიკაციო და ანგარიშსწორების ცენტრებში.

რაც მთავარია!!! ფასდაკლებით სარგებლობა შესაძლებელია

მხოლოდ **8-10**-ით

www.telecom.ge

**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი:** თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ნოდარ ლადარია




ოდესღაც ჩვენში დემოკრატია ლობიოს ჭამა ეგონათ - არა მგონია, იმის მერე ვითარება საგრძნობლად გაუმჯობესებულიყო. უფრო მეტიც, ახლა ისიც დაემატა, რომ თავისუფლება ჩაის სმა ჰგონიათ. ვფიქრობ, ეს საკითხი ნამდვილად იმსახურებს დეტალურ განხილვას და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ლობიოს ჩაიზე მეტად მწნილი უხდება: ძირითადად, იმიტომ, რომ უწყინარი და ხანდახან საკმაოდ პატივსაცემი იდეებისაგან შეიძლება ერთობ საშიში შედეგები განვითარდეს. თუმცა ამგვარ საგნებზე ლაპარაკი შორიდან და ფრთხილად უნდა დავიწყოთ. რატომ? — საქმე ისაა, რომ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების დაძაბულობამ უკვე ისეთ დონეს მიაღწია, როცა გარეგან მოვლენებზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადამიანების შინაგანი მდგომარეობა. თუ შეიძლება, სწორად გამიგეთ: ადამიანების და არა ადამიანის. იმ შინაგან მდგომარეობას ვგულისხმობ, რომელიც უფრო სოციოლოგიასთან დგას ახლოს და არა ფსიქოლოგიასთან...

უფრო გასაგები რომ გახდეს, რასაც ვგულისხმობ, კიდევ უფრო უკან უნდა დავიხიო და გავიხსენო "24 საათში" 1 აგვისტოს გამოქვეყნებული ერთი პატარა და შეუმჩნეველი ცნობა: "**რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა კულტურის მოღვაწეთა ჯგუფი დააჯილდოვა**". ფორმულირება შემდეგია: "**სამშობლოს წინაშე გაწეული ღვაწლისთვის**", "**კულტურისა და ხელოვნების სფეროში შეტანილი წვლილისა და მრავალწლიანი მოღვაწეობისათვის**". დაჯილდოვებულთა სია კი ეს გახლავთ: რუსეთის სახელმწიფო მცირე აკადემიური თეატრის მსახიობი, **ირინა მურავიოვა**, რუსეთის მხატვართა შემოქმედებითი კავშირის პრეზიდენტი, **ედუარდ დრობიცკი**, რუსეთის კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე, **ნიკოლაი პისარენკო**, რუსეთის კულტუროლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, **კირილ რაზლოგოვი**, კინემატოგრაფისტთა კავშირის დაღესტნის ფილიალის დირექტორი, **მუჰამედ სულეიმანოვი**. სია ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა არა მისი შემადგენელი ელემენტების ნამდვილი ღირებულების გამო: აქედან მარტო ირინა მურავიოვას "პაზვანი მნე, პაზვანი!" თუ გაახსენდება კაცს, თორემ ისეთს ვერავის ვიცნობ, იმის გამო შერცხვეს, რომ დრობიცკის ტილო არ უნახავს, პისარენკოს სიმფონია არ მოუსმენია ან სულეიმანოვის გადაღებულ ფილმზე არ შესულა. სია მნიშვნელოვანია მისი ელემენტების ნომენკლატურული ფუნქციის გამო: თავმჯდომარე, პრეზიდენტი, დირექტორი და ა. შ. - სხვათა შორის, "ნაცმენი" სულეიმანოვი "მეგობრობის ორდენით" დააჯილდოვეს და ესეც ერთობ ნიშანდობლივი გარემოებაა.

ახლა კი გავიხსენოთ, ორიოდე წლის წინათ რას ყვიროდა აგრარული უნივერსიტეტის დაპატიმრებული რექტორის ერთი ჭირისუფალი "კურიერის" შესაბამის სიუჟეტში: "ამათ ხომ არ იციან რა არის მეცნიერი" ან "ამათ ხომ მეცნიერის პატივისცემა არა აქვთ". რაღაც ასეთნაირს იძახდა.

"24 საათის" ხსენებულ ცნობასა და "კურიერის" ამ სიუჟეტს, სწორედ ის აერთიანებს, რაც დასაწყისში ადამიანების შინაგან მდგომარეობად მოვიხსენიეთ. ამ მდგომარეობას საზოგადოების ყველა წევრის შეგნებაში ლამის ძვლის ტვინამდე შეღწეული იდეოლოგიური ატმოსფერო ქმნის. ატმოსფერო, რომელიც მას შემდეგაც არსებობს, როცა გარეგანი წყარო უკვე კარგა ხნის გამქრალია.

რა თქმა უნდა, მართალი იქნება ის, ვინც იფიქრებს, რომ ასეთი დასაწყისი ალბათ თსუ-ს ხულიგნობისათვის მსჯავრდებულ პროფესურას უნდა მივუძღვნა. თუმცა თემა გაცილებით უფრო ვრცელია და დაწვრილმანება ნამდვილად არ ღირს. აქ უფრო მაღლა უნდა დავუმიზნოთ... კონკრეტული მაგალითის სახით კი მინდა შემოგთავაზოთ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის, **სერგეი ლავროვის** ერთი პოეტური ქმნილება. განმარტებისთვის უნდა აღვნიშნო, რომ ტექსტში ნახსენები "მგიმო" იშიფრება როგორც **საერთაშორისო ურთიერთობათა მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტი** - ესაა დაწესებულება, რომლის წიაღში აღიზარდა ქვემოთ მოყვანილი "შედევრის" ავტორი. იმედია, მკითხველი არ დამძრახავს, თუ შემდგომში მას ფონეტიკური ტრანსლიტერაციით მოვიხსენიებ. მაშ ასე:

Мы родились под сенью великого МГИМО -
Прекраснейшей из всех земных династий.
Здесь столько поколений навеки сплетено,
Дай Бог ему бессмертия и счастья.
Он нам открыл дорогу к заморским берегам,
И он нас научил любить Отчизну,
И гордость, как и стыд, делить с ней пополам,
Делить с ней все, что выпадает в жизни.

**Припев:**
*Это наш Институт, это наше клеймо,*
*И другого вовеки не нужно.*
*Оставайся всегда, несравненный МГИМО,*
Бастионом студенческой дружбы.
Впервые здесь у нас пробились голоса,
Впервые здесь задумались о главном.
Менял МГИМО названья, менял и адреса,
Но не менял своих традиций славных:
Учиться - так взахлеб, а пить - так до конца,
Не падать и идти упрямо к цели.
Рассыпаны по миру горячие сердца,
Надежные и в деле, и в веселье.

**Припев.**
*Он нам помог себя на прочность испытать*
*И славой, и бедою, и богатством.*
*Он научил нас, как от жизни не устать*
*И сохранить студенческое братство.*
Куда бы нас не бросило по миру - мы всегда
В любой стране и на любых маршрутах
Уверены - нам светит путеводная звезда
Над сводами родного Института



**ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge**

როგორც ვხედავთ, ეს ერთგვარი ჰიმნია, ფრიადოსანი, თუმცა ნიჭით არცთუ განებივრებული სტუდენტის დაწერილი რომელიმე საზეიმო ღონისძიებისთვის. განვიხილოთ ეს ლექსი და ვნახოთ, რა კავშირი აქვს მის შინაარსს ჩვენს ძენლბედობასთან. "ჩვენ დავიბადეთ დიადი *მგიმოს* ჩრდილქვეშ" - ამბობს ავტორი. "დავიბადეთ" - იდეოლოგიური ფორმირება გაიგივებულია დაბადებასთან. ამაში თავისთავად არაფერია დასაძრახი: ბოლოს და ბოლოს, სასწავლებელი თავიდანვე მოიხსენიებოდა როგორც alma mater - აღმზრდელი დედა. მაგრამ დავუკვირდეთ მისამღერს: "ეს ჩვენი ინსტიტუტია, ეს ჩვენი დაღია და სხვა სამარადისოდ არ გვჭირდება". საკუთრივ რომელი იდეოლოგიის დაღი მიაჩნია ბ-ნ ლავროვს სამარადისოდ? ამ კითხვაზე პასუხი სრულიად ზედმეტია. ეს სამარადისო დაღი თვით ლექსშიც აისახა საბჭოთა მენტალობისათვის დამახასიათებელი ფარისევლობისა და ორპირობის სახით. კერძოდ, ავტორი ხოტბას ასხამს ინსტიტუტს იმის გამო, რომ მან "გაუხსნა გზა უცხო ნაპირებისკენ" - აი, საბჭოთა ელიტის უპირველესი ოცნება, საკუთარი უპირატესობის შეგნების უმთავრესი საფუძველი. სხვათა შორის, საზღვრების საყოველთაო გახსნამ ერთნაირად დააზარალა ისინი, ვინც უცხოეთში მოგზაურობის პრივილეგიით სარგებლობდა და ვისაც უცხოეთში არ უშვებდნენ - პირველთ დაფნის გვირგვინები ჩამოგლიჯა თავიდან, დანარჩენთ კი ეკლისა. პრესტიჟის ბუნება შეიცვალა და სწორედ ეს ადარდებს გუშინდელ კულტურულ და ინტელექტუალურ ელიტას.

მაგრამ დავუბრუნდეთ მინისტრის ქმნილებას: აქ ვკითხულობთ, რომ *მგიმო* "იცვლიდა სახელებს, იცვლიდა მისამართებს, მაგრამ არ შეუცვლია სახელოვანი ტრადიციები". ეს მართალია: ტრადიციები იგივე დარჩა. ამას გრძნობს ახლად შექმნილი ქართული სახელმწიფო, მაგრამ ვერ გრძნობენ მასში არსებული ყავლგასული ელიტის ნარჩენები. ამათთვის ნამდვილად ძნელი წარმოსადგენი აღმოჩნდა, რომ სახელისა და მისამართის შეცვლა ბევრს არაფერს ნიშნავს. აი, *მგიმოს* სათვალიანმა "ვიპუსკნიკმა" კი იცის, რომ რამდენჯერაც არ უნდა თქვა "შაქარი... შაქარი..." პირში სიტკბოს ვერ იგრძნობ. ამიტომაც უშიშრად წარმოთქვამს ხოლმე: "საერთაშორისო სამართლის ნორმები", "დემოკრატია", "ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა" და ა. შ. ეს სიტყვები პირის გემოს არ შეუცვლიან.

შემდეგ ლექსი გვეუბნება, რომ *მგიმო* თავის ნაშიერებს დაეხმარა "გამოეცადათ თავი დიდებით, უბედურებითა და სიმდიდრით". არა, გულწრფელობას ვერ დავუწუნებთ ბ-ნ ლავროვს: უბედურებაში ალბათ თანამდებობიდან მოხსნა იგულისხმება, მაგრამ სიმდიდრე კი თავის თავს გულისხმობს - საბანკო ანგარიშებს, კარგ მანქანებს, პრესტიჟულ ბინებს და ა. შ. მაგრამ ბოლოს, სულ ბოლოს ვხედავთ ყველაზე მნიშვნელოვან ადგილს: აქ აშკარად იგრძნობა ალექსანდრე პუშკინის რემინისცენცია: "Куда бы нас не бросила судьбина" - ცარსკოე სელოს ლიცეუმის ჰიმნი. აი, თურმე რა ედო თავში ჩვენს ლავრუშკას! მაგრამ აქ ეპიგონობა კი არაა მთავარი, არამედ ძალაუფლებისა და კულტურის კავშირი: სახელმწიფო ნომენკლატურის ჭანჭიკი, ძალაუფლების მანქანის ერთი მცირე დეტალი იჩემებს ადგილს დიდი კულტურული ტრადიციის კალაპოტში. ასე იქცევა თავისუფლებისკენ თავგანწირული ლტოლვა მართლაც რომ ჩაიზე სალაპარაკო თემად.

ახლა გასაგებია, რატომ აჯილდოვებენ "კულტურისა და ხელოვნების" მოღვაწეებს სხვადასხვა ორდენით? რატომ მიისწრაფვის საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალობის ერთი ჩვეულებრივი სტუდენტის პოეტური შემოქმედება ეროვნული კულტურის აღიარებული მწვერვალისაკენ? ხელი ხელს ბანს - და სწორედ ამ ვითარების დაბრუნებას ლამობენ ერთხელ და სამუდამოდ მოთვინიერებული ჩვენი ინტელიგენტებიც. "მთელი სამყარო უცხოეთია, სამშობლო კი ცარსკოე სელოა" - ამბობდა ალექსანდრე პუშკინი. სერგეი ლავროვის ეს ლექსი კი ღვიძლი ძმაა ქართული გამონათქვამებისა იმის შესახებ, რომ უნივერსიტეტი ტაძარია, რომ განათლების რეფორმა ეროვნების გადაგვარებაა, რომ "მონადირის" მებრძოლები გმირულად იცავდნენ საქართველოს, რადგან ყოველივე ამას ერთი სამშობლო აქვს - ცარსკოე სელო, იმპერიული სოფელი, ანუ დიდი რუსეთის პოლიტიკურ-კულტურული სივრცე, სადაც თხა და მგელი ერთად ძოვს, სადაც ზეციურ აპოთეოზში შეერთებულან კეთილმორწმუნე კომუნისტები, მოკაზაკო ინტელექტუალები, კრემლის სამსახურში მდგომი ბიზნესმენები, თვითკმაყოფილებისაგან გაბერილი უსახური ჩინოვნიკები და ყველას ერთიანად აკურთხებს წითელდროშოვანი, ლენინისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენოსანი მოსკოვის საპატრიარქო...

ჩვენ კი შორს უნდა ვიყოთ ამისაგან. რატომ? - თუ სერგეი ლავროვს ჩვეული უბედურება დაატყდება თავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებენ, ის არ დაიწყებს "ვესტის" ეთერიდან ყვირილს, რომ ჩეჩენი ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლა წაგებულია - ის მშვიდად და უსიტყვოდ დაივანებს პოლიტიკური რეალობის ფსკერზე. მას *მგიმოს* სკოლა აქვს გავლილი, ის განვითარებული პოლიტიკური მანქანის ჭანჭიკია და არა შუა საუკუნეების შესაფერი უკუდო ამპარტავანი, რომელსაც აქამდე სახელმწიფო მინისტრის პორტფელის სიმძიმე აკავებდა გაფრენისაგან და რახან ეს სიმძიმე ჩამოშორდა, დაუბრკოლებლად გაჰყვირის, სვანების განიარაღება შეუძლებელიაო.

ნამდვილად აღარ დაბრუნდება დრო, როცა სხვადასხვა შემოქმედებითი კავშირების თავმჯდომარეებს, კურტიზან მსახიობებსა და მეხოტბე მწერლებს, კარის ვარსკვლავთმრიცხველებსა და მითომან რედაქტორებს საკუთარი თბილი ნიშა ჰქონდათ საზოგადოებრივ სტრუქტურაში. ახალმა დრომ ახალი ნაძირალები მოიყვანა - კაცმა რომ თქვას, ესენი უფრო ადვილი ასატანები არიან, რადგან არავინ გაძალებს მათ აღიარებას. მაგრამ სხვა რამაა საწყენი: ლავროვის მოდელი - ფარისეველი და უნიჭო ჩინოვნიკისა - ჩვენშიც აქტუალურია, ოღონდ ერთი დეტალის გამოკლებით: ნომენკლატურული ვარაყის პირველივე ფენის ჩამოფხეკის შემდეგ ხელში ერთი პატარა შიშველი კაცუნა კი არ გრჩება, არამედ სულ სხვა ატავისტური მითოლოგიით გატენილი თოჯინა, რომელსაც ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა - ქალამნად.

# კოდორის შემდეგ

## საჭიროა ფართო საერთაშორისო მონაწილეობა

პირველი გვერდიდან

ეს პატარა დარტყმები საქართველოზე მოხდა მას შემდეგ, რაც კრემლმა ახალ წელს თავხედურად შეუწყვიტა გაზის მიწოდება უკრაინას. ამან დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში შოკისმომგვრელი ეფექტი იქონია. დასავლეთმა მყისიერად დაინახა, სინამდვილეში თუ რა მახინჯი სახე იმალება რუსეთის აქამდე კარგად მორგებული ნიღაბის მიღმა. "დიდი რვიანის" სამიტის მოახლეობისას, სადაც რუსეთის პრეზიდენტი უნდა ყოფილიყო მასპინძლის რანგში, ზოგიერთმა გავლენიანმა დასავლელმა პოლიტიკოსმა და მიმომხილველმა ივარაუდა, რომ წამყვანი ინდუსტრიული დემოკრატიების ლიდერები ბოიკოტს მოუწყობდნენ ამ ღონისძიებას.


*მომდევნო ლოგიკური ნაბიჯი იქნებოდა რუსი სამშვიდობოების ჩანაცვლება საერთაშორისო პოლიციური ძალებით.*

მიუხედავად ყველაფრისა, დასავლეთის ლიდერებმა მაინც გადაწყვიტეს სანკტ-პეტერბურგში ჩასვლა. მაგრამ ჯორჯ ბუშის მიერ საქართველოს ლიდერის მიხეილ სააკაშვილის 5 ივლისს თეთრ სახლში მიწვევა - სამიტამდე რამდენიმე დღით ადრე - ნათელი სიგნალი იყო, რომ პუტინის რეპუტაციას საკუთარი ქმედებებით ჩრდილი მიადგა.

მაგრამ რუსეთის პრეზიდენტი არ აპირებდა ბუშისგან ლექციების მოსმენას, განსაკუთრებით, საქართველოს თემაზე. კრემლის კონტრშეტევა სწორედ "დიდი რვიანის" სამიტის მიმდინარეობისას მოხდა. 8 ივლისს რუსეთის ხელისუფლებამ მოულოდნელად ჩაკეტა რუსეთ-საქართველოს საზღვარი ზემო ლარსთან - სხვათა შორის, ეს ერთადერთი ლეგალური სასაზღვრო-გამშვები პუნქტია ორ ქვეყანას შორის. ტრანსპორტის ნაკადმა გადაინაცვლა როკის გვირაბის მიმართულებით, განდგომილ სამხრეთ ოსეთის რეგიონში - რაც კიდევ უფრო უთხრის ძირს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

შემდეგში, ცხინვალში განხორციელებულმა მსხვერპლიანმა აფეთქებებმა 9 და 14 ივლისს, ზუსტად ის ტონი შესძინა მოსკოვს, რომელიც საჭირო იყო მისი დეზინფორმაციული კამპანიისთვის. "ჩვენს ხელთაა სარწმუნო მტკიცებულება, რომ საქართველო სამხედრო ოპერაციის გეგმას აწყობს," - განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა 9 ივლისს.

იგივე უწყების განცხადება ხუთი დღის შემდეგ გაცილებით მძაფრი იყო: "ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის მახლობლად კონკრეტული სამხედრო მზადების ფონზე... გაჩნდა სარწმუნო ცნობა საქართველოს ხელისუფლების გეგმაზე, უახლოეს დღეებში განხორციელოს ძალისმიერი ოპერაცია სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ."

სინამდვილეში კი ორფოლო - პოლიგონი, სადაც მიმდინარეობდა ქართული შეიარაღებული ძალების წვრთნები, მდებარეობს ახალციხის მახლობლად, სამხრეთ ოსეთიდან საკმაოდ შორს, თანაც მათ შორის საკმაოდ დიდი ქედიც არის. მეტიც, ცოტა უკეთეს სცენარისტს ომის დაწყების წინ საკმაოდ სულელურად მოეჩვენებოდა ქართული შეიარაღებული ძალების მიერ ტყვია-წამლისა და საწვავის ხარჯვა, ისევე როგორც ცოცხალი ძალების წვრთნებით გადაღლა.

"დიდი რვიანის" სამიტის სტარტამდე ერთი დღით ადრე, ბუშის პეტერბურგში ჩასვლისა და რუსეთისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის სავაჭრო მოლაპარაკებების ჩაშლის მიუხედავად, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი მაინც პოულობდა დროს, ემხილებინა თბილისის "ომის პარტია", თითქოსდა თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის ხელმძღვანელობით.

როგორც გაირკვა, ახლო აღმოსავლეთის მოვლენები "დიდი რვიანის" სამიტზე წამყვანი თემა გახდა. ამან დაჩრდილა ენერგოუსაფრთხოებაზე მოსალოდნელი მკაცრი განცხადებები და საშუალება მისცა პუტინს, ჯორჯ ბუშის პოზიციის საპირისპიროდ ევროპელი ლიდერების გვერდით აღმოჩენილიყო. და მაინც, ბუშმა მოახერხა, წამოეწია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი და, როგორც ამბობენ, პუტინს სააკაშვილთან განმეორებითი შეხვედრაც ურჩია.

რამდენიმე დღე, თითქოს ჩანდა, რომ ეს ორნი (პუტინი და სააკაშვილი) 21-22 ივლისს მოსკოვში, დსთ-ს ლიდერთა არაოფიციალური სამიტის ფარგლებში, შეხვდებოდნენ ერთმანეთს. მაგრამ პუტინის დღის წესრიგის დამგეგმავებმა "ვერ მოახერხეს" თავისუფალი დროის გამოძებნა. ბუნებრივია, რუსეთის პრეზიდენტს მოსკოვის იპოდრომზე დოღის ყურება ერჩია სააკაშვილთან შეხვედრას... იქნებ იმიტომ, რომ სწორედ მაშინ საქართველოზე ზეწოლის კიდევ ერთი ბერკეტის ამოქმედებას ელოდა?

სწორედ იმ დღეს, როცა პუტინი დოღს ესწრებოდა, "მონადირეს" ხელმძღვანელმა ემზარ კვიციანმა საქართველოს მთავრობას სერიოზული მოთხოვნები წაუყენა. კვიციანის თქმით, კოდორში შესვლისა და მისი ბანდის განიარაღების ნებისმიერ მცდელობას იარაღით აღუდგებოდნენ წინ. იგი მოუწოდებდა საქართველოს სხვა მხარეებში მდგომ სამხედრო ნაწილებს და ოქრუაშვილისა და შინაგან საქმეთა მისნტრის ვანო მერაბიშვილის გადადგომასაც კი ითხოვდა. თუ უახლეს ისტორიას გადავხედავთ, გულუბრყვილობა იქნება ვიფიქროთ, რომ კვიციანის დროში უზადოდ გათვლილ ამბოხში მოსკოვის ხელი არ ურევია.

უეჭველია, მოსკოვმა გათვალა, რომ ვერც ერთი დემოკრატიული ქვეყანა ვერ შეხვდებოდა გულგრილად შეიარაღებული ჯგუფისგან ასეთ გამოწვევას. თუმცა, მოსკოვმა ვერ გაითვალისწინა, რომ თბილისი შეძლებდა კონფლიქტში უფრო ღრმად ჩათრევისგან თავის არიდებას. უეჭველია, შეშფოთდებოდნენ, როცა ოქრუაშვილმა განაცხადა: მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მუდმივად ფიქრობს იმაზე, თუ როგორ დაიბრუნოს აფხაზეთი, ჩვენ მტკიცედ ვდგავართ პოზიციაზე, რომ კონფლიქტების მოგვარება, ორივე რეგიონში - აფხაზეთშიც და სამხრეთ ოსეთშიც - მშვიდობიანი გზებით უნდა მოხდეს."

25 ივლისს კოდორის ხეობაში დაწყებული ოპერაცია იყო სამართლებრივი, სწრაფი და ეფექტიანი, რომელმაც გზა გაუხსნა აფხაზეთის ლეგიტიმურ მთავრობის თბილისიდან აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვრებში გადასვლას.

თუმცა, ოქრუაშვილის თქმით, კოდორის ხეობაში დღეს არსებულ ვითარებას მშვიდს ვერ დაარქმევ. "ე.წ. რუს სამშვიდობოებსა და ჩვენი პოლიციის დანაყოფებს შორის მანძილი ძალიან მცირეა და მუდმივად არსებობს ესკალაციის საფრთხე. ჩვენ არ უნდა დავუშვათ იგი (ესკალაცია)". ხეობაში სროლები კვლავაც ისმის. რუსულმა შვეულმფრენმა გადაუფრინა ქართულ საგუშაგოებს. რასაკვირველია, ბრალდებები და კონტრბრალდებები მომავალშიც გაგრძელდება.

კოდორის ხეობაში რაიმე სახის საერთაშორისო მისია, უდავოდ, სასარგებლო იქნებოდა. თუმცა, ხეობაში საერთაშორისო დამკვირვებელთა უბრალოდ მოწვევა აქამდე არსებული სტატუს კვოს აღდგენა იქნებოდა - გავიხსენოთ, რომ გაერო-ს დამკვირვებლები 2003 წლის ივნისამდე აქ პატრულირებას ახორციელებდნენ მანამდე, ვიდრე რამდენიმე მათგანი არ გაიტაცეს. დღევანდელი პოლიტიკური ვითარება უფრო ფართო საერთაშორისო მონაწილეობის საჭიროებას წარმოშობს, რომელიც წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა საქართველოში არსებული ტერიტორიული კონფლიქტების მოგვარებისთვის. თუმცა, საკითხავია, არის თუ არა რუსეთი მზად ასეთი პაკეტის მხარდასაჭერად?

მომდევნო ლოგიკური ნაბიჯი იქნებოდა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მყოფი რუსი სამშვიდობოების ჩანაცვლება საერთაშორისო პოლიციური ძალებით. რუსების მონაწილოება ამ ახალ ძალებში დაეხმარებოდა რეგიონის ზოგიერთი მცხოვრების ნდობის მოპოვებაში, მაგრამ მხოლოდ ნამდვილად საერთაშორისო ძალებს აქვს ყველა მხარის ნდობის მოპოვების შანსი. ასეთი პროფესიული პოლიციური ძალები პასუხისმგებელნი იქნებიან კანონის უზენაესობის დამკვიდრებასა და რეგიონის ყველა მცხოვრების უფლებების დაცვაზე. ისინი ხელს შეუწყობენ იძულებით გადაადგილებულ პირთა მშვიდობიან დაბრუნებას აფხაზეთში და დაიცავენ ისეთი სახის ტერაქტებისგან, როგორიც მოხდა ცხინვალში 9 და 14 ივლისს.

რუსი სამშვიდობოების ჩამნაცვლებელი საერთაშორისო პოლიციის მეშვეობით უკვე ადვილი იქნება იმ ფაქტის დადასტურება, რომ გუდაუთაში რუსეთის სამხედრო ბაზა აღარ არსებობს. ამ ბაზის გაუქმებაზე თანხმობა მოსკოვმა ჯერ კიდევ 1999 წლის სტამბოლის სამიტზე განაცხადა. შესაბამისად, საერთაშორისო ძალისხმევაში გათვალისწინებული უნდა იყოს ეუთო-ს მიერ ამ ბაზის მონიტორინგიც. არსებულ ვითარებაში ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგანაც კოდორის ხეობაში ამოღებული ზოგიერთი იარაღი აშკარად გუდაუთის ბაზიდანაა.

მსგავსი საერთაშორისო მონაწილეობის კონტექსტში, კოდორის ხეობაში გაერო-ს დამკვირვებლების დაბრუნება, შესაძლოა, ადვილად მისაღწევი იყოს; ივანოვი დაამტკიცებს თავის პოლიტიკურ ამბიციებს, თუ ასეთი ყოვლისმომცველი გადაწყვეტილების მისაღწევად გადადგამს ნაბიჯებს. სხვა შემთხვევაში, იტყვიან, რომ მისი წინადადება მოსკოვის მიერ მხოლოდ და მხოლოდ ახალი ნაბიჯია საქართველოს უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტის საზიანოდ გადადგმული. საერთაშორისო თანამეგობრობამ გასაგები "მესიჯი" უნდა გაუგზავნოს მოსკოვს - რომ იგი ამ ორი ვარიანტიდან პირველს მიესალმება და არა მეორეს.

*ელჩი დევიდ ჯ. სმიტი არის პოტომაკის ინსტიტუტის პოლიტიკურ სწავლებათა უფროსი ექსპერტი და ვაშინგტონში საქართველოს ფორუმის თავმჯდომარე.*

**შ.პ.ს. "ელიტელექტრონიკსი" აცხადებს კონკურსს ქ. ბათუმში სავაჭრო-საქმიანი შენობის ესკიზურ პროექტზე**

კონკურსის მიზანია, ქ. ბათუმის ცენტრში (ყოფილი უნივერმაღის ადგილას) ახალი თანამედროვე სავაჭრო ცენტრის ასაშენებლად საუკეთესო არქიტექტურული წინადადების შერჩევა.

კონკურსში გამარჯვებულთათვის გათვალიწინებულია (ეკვივალენტი ლარებში) :

**ერთი პირველი პრემია 5000 აშშ**
**ერთი მეორე პრემია 3000 აშშ**
**ერთი მესამე პრემია 1000 აშშ**

საკონკურსო პირობების გაცემა 01.08.06 - 15.08.06
საკონკურსო მასალების ჩაბარება 20.10.06 18 სთ-მდე

მისამართი - "დიზაინცენტრი" ირ. აბაშიძის ქ. 41 თბილისი
"ელიტელექტრონიქსი" გამსახურდიას ქ, 47 ბათუმი
დამატებითი ინფორმაციისთვის
საკონტაქტო ტელ: **25-10-22 877 40-60-99**
ელ-ფოსტა: designcenter@mail.ru

# "საჭიროა თქვენი სიმკაცრე" - მითითება მოსამართლეებს

პირველი გვერდიდან

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის განცხადებით, 2008 წელს, საქართველოში უკლებლივ ყველა სასამართლო ევროსტანდარტების დონეზე გარემონტდება და აღიჭურვება.

მოსამართლეებმა კონფერენციაზე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კოტე კუბლაშვილის საანგარიშო მოხსენების გარდა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის და საერთო სასამართლოების თავმჯდომარის ანგარიშებიც მოისმინეს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ვალერი ცერცვაძემ შეკრებილ მოსამართლეებს მითითება მისცა.

**"მეტი სიმკაცრე გამოიჩინეთ სასამართლო პროცესების მიმდინარეობისას, რათა ადვოკატებს და გარკვეულ პოლიტიკურ ძალებს პროვოკაციების მოწყობის უფლება არ მისცეთ. გარკვეული პოლიტიკური ძალები და უცოდინარი ადვოკატები ცდილობენ, თავიანთი არაკვალიფიციურობა პროვოკაციებით დაფარონ და სასამართლოს ჩირქი მოსცხონ. საჭიროა თქვენი სიმკაცრე,"** - ასეთი გახლავთ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის დავალება.

*24 საათი*

## მოკლედ

### საპყრობილის ხელმძღვანელს უჩივიან

სახალხო დამცველი ბათუმის N3 საპყრობილის ხელმძღვანელობას კანონდარღვევებში ადანაშაულებს. როგორც ომბუდსმენის აპარატში აცხადებენ, კანონდარღვევების შესახებ სახალხო დამცველს პატიმრების ახლობლებმა შეატყობინეს და განაცხადეს, რომ შესაბამისი ნებართვების მიუხედავად, მათ პატიმრებთან პაემანის უფლებას არ აძლევენ.

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა საკითხი და N3 საპყრობილის ხელმძღვანელობის ქმედებაში კანონდარღვევის აღმოჩენის გამო, იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსს მიმართა. ომბუდსმენი გენერალური ინსპექციისგან საპყრობილის დირექტორის დირბარიანის დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას ითხოვს. **24 საათი**

### კოდორში მკვლელობისთვის ძებნილები დააკავეს

კოდორის ხეობაში სპეცოპერაციის შედეგად ორი ძებნილი აიყვანეს. დაკავების ღონისძიება შინაგან საქმეთა სამინისტროს აფხაზეთის მთავარი სამმართველოს და სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა განახორციელეს.

დაკავებულია ვოვა გუჯეჯიანი, რომელიც მკვლელობისთვის იყო გასამართლებული და ორთაჭალის ციხიდან გაქცევის შემდეგ იძებნებოდა. მეორე დაკავებული იგორ უშხვანი, ასევე მკვლელობაშია ბრალდებული და სოხუმში მოქმედი ერთ-ერთი კრიმინალური დაჯგუფების წევრად მოიაზრება.

სამართალდამცველების ინფორმაციით, ორივე მათგანი ემზარ კვიციანის მხარდამჭერებს ახლახანს შეუერთდნენ. ძებნილების დაკავების ადგილზე აღმოჩენილია რუსული წარმოების შაშხანა. ერთ-ერთი ვერსიით, ძებნილები ქართველი ძალოვანების ერთ-ერთ საგუშაგოზე სროლას აპირებდნენ. **ინტერპრესნიუსი**

### სტუდია "რეპორტიორის" ჩვენება

დღეს კინოს სახლში სტუდია "რეპორტიორი" ახალი ფილმის - "მიართვით კუბდარი მინისტრს" - პრეზენტაციას გამართავს.

ფილმი ეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2004 წლის 24 მარტს მესტიის რაიონის სოფელ ეცერში ჩატარებულ სპეცოპერაციას, რომლის დროსაც დაიღუპნენ მამა-შვილი ევგენი და ომეხ აფრასიძეები, ხოლო გოჩა და შმაგი აფრასიძეები დააპატიმრეს. აფრასიძეებს სასამართლომ 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ფილმი "მიართვით კუბდარი მინისტრს" 35-წუთიანია. ჩვენებაზე მოწვეულნი არიან არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოების წარმომადგენლები. ჩვენების დასრულების შემდეგ გაიმართება დისკუსია.

დღესვე, კინოს სახლში, ნაჩვენები იქნება სტუდია "რეპორტიორს" მომავალი ფილმის ანონსიც. ფილმი ეხება 2 მაისს თბილისში, ჩოგბურთის კორტებთან ჩატარებულ სპეცოპერაციას, რომლის დროსაც შს სამინისტროს სპეცრაზმმა მოკლა ზურაბ ვაზაგაშვილი და ალექსანდრე ხუბულოვი, ბონდო ფუთურიძე კი მძიმედ დაიჭრა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### სპეცოპერაციისას დაჭრილი პატიმარი გარდაიცვალა

სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საავადმყოფო "ალსს"-ში პატიმარი, 16 წლის ჯაბა ჯაბანიშვილი ფილტვის არეში ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობისაგან გარდაიცვალა.

იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, ჯაბა ჯაბანიშვილი ბორჯომში 2006 წლის 21 ივლისს, პოლიციელთათვის წინააღმდეგობის გაწევის დროს, საპასუხო სროლისას დაიჭრა. მას 22 ივლისს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა. დაჭრილი სამკურნალოდ თბილისში გადამოიყვანეს. ჯაბანიშვილი ყაჩაღობის ბრალდებით იყო დაკავებული. **მედიანიუსი**

### გვიჩიანი განაჩენს უცდის

"თბილგაზის" გაკოტრების მმართველის გიორგი გვიჩიანის საქმის სასამართლო განხილვა დასასრულს უახლოვდება. დღევანდელ სასამართლო პროცესზე პროკურორი საბრალდებო სიტყვას იტყვის და სასამართლოს განსასჯელისთვის სასჯელის ზომას მოთხოვს. მომდევნო სხდომაზე საკუთარ პოზიციას დაცვის მხარე წარმოადგენს.

"ეი-ი-ეს თელასის" ფინანსური მენეჯერის ნიკა ლომინაძის მკვლელობის შეკვეთასა და შესრულებაში ბრალდებულებს: გიორგი გვიჩიანს, ნიკოლოზ ჩემიასა და ავთანდილ ხერკელაძეს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში, 20 წლამდე თავისუფლების აღკეთა, ან სამუდამო პატიმრობა ემუქრებათ.

გვიჩიანი თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს და აცხადებს, რომ მისი დაკავება ძმების - ნუგზარ და ნოდარ გვიჩიანების მხრიდან ანგარიშსწორებას უკავშირდება. სწორედ ნოდარ გვიჩიანის ჩვენების საფუძველზე დააკავა გამოძიებამ გიორგი გვიჩიანი. **ინტერპრესნიუსი**

### ევროკომისია საბერძნეთის დასჯას აპირებს

საბერძნეთსა და ევროკომისიას შორის სასამართლო დავის საგნად საბერძნეთის მიერ ქვეწარმავლის უნიკალური სახეობის დაცვაზე უარის თქმა იქცა.

ევროკიმისია აფრთხილებს საბერძნეთის ხელისუფლებას, რომ ქვეყანას ელოდება მნიშვნელოვანი საჯარიმო სანქცია განადგურების პირას მყოფი სახეობის არასაკმარისი დაცვისათვის - იტყობინება ბერძნული გაზეთი "კატიმერინი".

ქვეწარმავლის იშვიათი ჯიში აღმოაჩინეს 1935 წელს. ექსპერტების მტკიცებით, მას ლამაზი, რუხი ფერის ყავისფერზოლიანი ტყავი აქვს, რომელიც შესძლებელობას აძლევს შეუმჩნეველი დარჩეს ქვებსა და კლდეებზე ცოცვისას.

გველის ეს სახეობა მხოლოდ კუნძულ მილოსზე, სიფნისზე, კომილოსზე და პოლინოსზე გვხვდება და მცირე პოპულაცია მას გადაშენების საფრთხეს უქმნის.

ევროპის სასამართლომ "ქვეწარმავლის საქმეზე" უკვე გამოიტანა ერთი ვერდიქტი საბერძნეთის საწინააღმდეგოდ და დაადგინა, რომ საბერძნეთის მთავრობა არ აკეთებს ყველაფერს იმისათვის, რომ გველის ეს უნიკალური სახეობა შენარჩუნდეს.

თუკი საქმე კვლავ მიუბრუნდება სასამართლოს, როგორც ამას ევროკომისია აცხადებს, საბერძნეთს სოლიდური ჯარიმის გადახდა და გველების მიხედვა მაინც მოუწევს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### სომხეთში მეძავები ჭარიმდებიან

2006 წლის პირველ ნახევარში სომხეთის პოლიციამ აღრიცხვაზე აიყვანა 1050 მეძავი ქალი, რომელთაგან 60-ს ვენერიული დაავადება აღმოაჩნდა. ამ პერიოდში, სექსუალური ძალადობის 75 შემთხვევა დაფიქსირდა. როგორც სომხეთის პოლიციაში განმარტავენ, ქვეყანაში პროსტიტუცია კანონმდებლობით არ ისჯება, თუმცა, ადმინისტრაციული კოდექსით შესაბამისი ჯარიმებია გათვალისწინებული. მეძავს, პირველადად დაკავებისას, 2,5 დოლარის ჯარიმის გადახდა უწევს. განმეორების შემთხვევაში კი ეს თანხა ორმაგდება. სომხეთის პოლიციის მაღალჩინოსნები საჯარიმო სანქციების გაზრდის აუცილებლობაზე საუბრობენ. მათი თქმით, განსაკუთრებით მკაცრად უნდა დაისაჯონ სუტინიორები და აღიკვეთოს მრუშობა საზოგადოებრივ ადგილებში. **ჯი-ეიჩ-ენი**

# სასამართლო პროცესი აქციის ფონზე

*არასამთავრობო ორგანიზაცია "თანასწორობის ინსტიტუტი" 8 აგვისტოს ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციის გამართვას გეგმავს. როგორც ორგანიზაციის წევრები აცხადებენ, ხალხმრავალი აქცია ამირან რობაქიძის მკვლელობაში ბრალდებული საპატრულო პოლიციელის გრიგოლ ბაშალეიშვილის სასამართლო პროცესის პარალელურად მოეწყობა. "თანასწორობის ინსტიტუტის" წევრთა განმარტებითვე, ისინი იმ უკანონობას გააპროტესტებენ, რომლებიც, მათი მტკიცებით, საქმის გამოძიების პროცესში იყო დაშვებული.*



*გრიგოლ ბაშალეიშვილს ამ დღეებში განაჩენს გამოუტანენ.*

**"შინაგან საქმეთა სამინისტრო და პროკურატურა საქმის გაყალბებით რეალური ვითარების დამალვას და მკვლელობაში ბრალდებული საპატრულო პოლიციის ყოფილი თანამშრომლის გრიგოლ ბაშალეიშვილის ბრალის შემსუბუქებას ცდილობენ,"** - ასეთია არასამთავრობოთა პოზიცია.

ამირან რობაქიძის მკვლელობის საქმის სასამართლო გამოძიება დასასრულს უახლოვდება. როგორც ცნობილია, მართლმსაჯულებამ დაზარალებულ მხარეს კატეგორიული უარი განუცხადა შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ყოფილი ხელმძღვანელის გურამ დონაძისა და საპატრულო პოლიციის მაშინდელი ხელმძღვანელის ზურაბ მიქაძის დაკითხვაზე. წინა სასამართლო სხდომაზე უნდა გარკვეულიყო, 2004 წლის 23 ნოემბერს, ამირან რობაქიძის გარდაცვალების დღეს, შემთხვევის ადგილზე ავტომანქანით მისულ გრიგოლ ბაშალეიშვილს გადაცემა "პატრულის" რომელი გადამღები ჯგუფი ახლდა თან და ამით მოწმეთა დაკითხვა უნდა დასრულებულიყო. სასამართლომ გადამღები ჯგუფის წევრების ვინაობის გასარკვევად შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილობით მიმართა, თუმცა, იმის გამო, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში გაგზავნილ შეკითხვაზე მოსამართლე ჯემალ კოპალიანმა გაუგებარი პასუხი მიიღო, პროცესი 8 აგვისტოსთვის გადაიდო.

**"სასამართლოზე დაფიქსირდა იშვიათი გამონაკლისი - მოსამართლემ დაზარალებულის შუამდგომლობა დააკმაყოფილა, თუმცა საპატრულო პოლიციამ სასამართლოს მოთხოვნის შესრულებაზე უარი განაცხადა,"** - აცხადებს იურისტი თინა ხიდაშელი, რომელიც ამირან რობაქიძის მკვლელობის საქმის სასამართლო გამოძიების მონიტორინგს ახორციელებს.

გარდაცვლილის ოჯახის წევრები ირწმუნებიან, რომ ამირან რობაქიძეს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი არ გააჩნდა და ამის ამსახველი ვიდეომასალაც არსებობს, რომელიც ბაშალეიშვილთან ერთად შემთხვევის ადგილზე მისულმა ჟურნალისტებმა იხილეს. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი იმ ჟურნალისტების დაკითხვა, რომლებიც ბაშალეიშვილს ახლდნენ თან და რომლებმაც რეალური სიტუაცია გადაიღეს.

**"შს სამინისტრო ამგვარი მეთოდებით რთული სიტუაციიდან გამოსავალს ეძებს. ეს ყველაფერი კი მიზნად ისახავს იმას, რომ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტება არ დადგინდეს. შს სამინისტრო საქმის გაყალბების გამო უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდება,"** - აცხადებს ამირან რობაქიძის ოჯახის ადვოკატი ალეკო ალადაშვილი.

ერთი სიტყვით, წინასწარ ძნელი სათქმელია, მომდევნო სასამართლო პროცესზე მოხერხდება თუ არა გადაცემა "პატრულის" იმ გადამღები ჯგუფის წევრების დაკითხვა, რომლებმაც 2004 წლის 23 ნოემბრის ღამის რეალური ვითარება გადაიღეს.

*24 საათი*

# უსაფრთხოება საქართველოში

*გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებელთა მისიის ორგანიზებით და განვითარებისა და თანამშრომლობის შვეიცარიის სააგენტოს დაფინანსებით, საქართველოს საზოგადოებრივი აზრის კვლევის ინსტიტუტმა საზოგადოებრივი უსაფრთხოების ასპექტებთან დაკავშირებით საქართველოს ყველა რეგიონში კვლევა ჩაატარა.*

2005 წლის კვლევის შედეგებით აღმოჩნდა, რომ ქვეყანაში უსაფრთხოდ ყოფნის შეგრძნება საკმაოდ მაღალია - თავს უსაფრთხოდ თვლის გამოკითხულთა 82.2 პროცენტი. თუმცა, ეს მაჩვენებელი დიდად არის დამოკიდებული ურბანიზაციის ფაქტორზე. ამიტომაც, თბილისში დაუცველობის - საფრთხის შეგრძნება ყველაზე მაღალია.

მართალია, 2000 წლის მონაცემებთან შედარებით, თბილისში შემცირებულია საფრთხის დონე, 2000 წელს იყო 39 პროცენტი, 2005 წელს 34 პროცენტი, მაგრამ, როგორც ექსპერტები აცხადებენ, დღეს არსებული მდგომარეობა კვლავ არადამაკმაყოფილებელია.

გამოკითხულ რესპონდენტთა მიერ დადებითად ფასდება პოლიციის იმიჯი. მიღებული პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით, საქართველოში პოლიციას გაცილებით უკეთესი იმიჯი აქვს, ვიდრე ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში.

მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ პოლიციაში გაცხადებული დანაშაულის პროცენტული მაჩვენებელი მაინც საკმაოდ დაბალია. რესპონდენტთა აზრით, მიზეზები, თუ რატომ არ მიმართავენ დაზარალებულები პოლიციას, შემდეგია: დანაშაულის ნაკლებად სერიოზული ხასიათი; სამხილის არარსებობა; აზრი იმის თაობაზე, რომ პოლიცია მაინც არაფერს გააკეთებს.

ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ პოლიციის მუშაობით უკმაყოფილოთა რიცხვიც საკმაოდ დიდია, რაც განპირობებულია იმით, რომ ბევრი დანაშაული გაუხსნელია და პოლიციას შემთხვევის ადგილზე ოპერატიულად გამოცხადება უჭირს.

რაც შეეხება კორუფციას. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ყველაზე მეტად კორუმპირებულად საბაჟო და ჯანდაცვის სფერო სახელდება.

რესპონდენტთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ კორუფციის დონე პოლიციაში მნიშვნელოვნად შემცირდა, ეს სტრუქტურა კორუფციის მაღალი დონით გამორჩეული აღარ არის.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ დამნაშავეობის დონე დამოკიდებულია ურბანიზაციის ხარისხზე. იმ ქალაქებში, სადაც 10 ათასი და მეტი მაცხოვრებელია, განსაკუთრებით მაღალია დანაშაულის მაჩვენებელი.

ქალაქებში, სადაც 10 ათასი და 200 ათასი მაცხოვრებელია, ყველაზე მეტად ხდება სატრანსპორტო საშუალებების ქურდობა;

დანაშაულის დონე გაცილებით დაბალია სოფლებში.

საქართველოში ყველაზე გავრცელებული დანაშაულის სახეობაა ქურდობა, მათ შორის ავტომობილების გაქურდვა. შედარებით დაბალია ხულიგნობის მაჩვენებელი.

მძიმე დანაშაულის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა თბილისი, სადაც გავრცელებულია ისეთი კატეგორიის დანაშაულები, როგორიცაა: თავდასხმა-დაშინება, ძარცვა, ავტომობილების გაქურდვა და სხვა სახის ქურდობები;

თბილისში განსაკუთრებით ხშირია საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტები. აღსანიშნავია, ასევე, ტრანსპორტის უყურადღებოდ მართვა, რაც თბილისში მთავარ პრობლემად რჩება და რაც ნაკლებად შესამჩნევია პატარა ქალაქებსა და სოფლებში.

საქართველოში ჩატარებული კვლევის შედეგები შედარებულია შვეიცარიის მაჩვენებლებთან. კვლევის შედეგების მიხედვით, დანაშაულის მსხვერპლთა რაოდენობით, საქართველოსა და შვეიცარიის მაჩვენებლები თითქმის მსგავსია, მხოლოდ ტრანსპორტთან დაკავშირებული დანაშაულის მაჩვენებელია საქართველოში მაღალი.

დამნაშავეობის კონტროლში შვეიცარიას უფრო დაბალი მაჩვენებელი აქვს - 68.5 პროცენტი, ვიდრე საქართველოს - 74.7 პროცენტი.

საქართველოში დანაშაულის მსხვერპლთა საშუალო მაჩვენებლის მიხედვით, 2005 წელს გამკითხულთა 1.8 პროცენტი სატრანსპორტო საშუალების ქურდობის მსხვერპლი გახდა, 9.2 პროცენტი სატრანსპორტო საშუალების გაქურდვის, 7.1 ძარცვის, 1.1 ყაჩაღობის, 2.8 პროცენტი წვრილმანი ქურდობის, ხოლო თავდასხმა-დაშინების მსხვერპლი გამოკითხულთა 1.2 პროცენტი აღმოჩნდა.

ყველა სხვა სახის დანაშაულის მსხვერპლი კი გამოკითხულთა 13.5 პროცენტი აღმოჩნდა.

შვეიცარიაში კი ანალოგიურ პერიოდში დანაშაულის მსხვერპლთა საშუალო მაჩვენებელი ასე გამოიყურება: სატრანსპორტო საშუალების ქურდობა - 0.2 პროცენტი, სატრანსპორტო საშუალების გაქურდვა - 3.7 პროცენტი, ძარცვის - 1.1 პროცენტი, ყაჩაღობის - 0.7 პროცენტი, წვრილმანი ქურდობის - 5.9 პროცენტი, თავდასხმა-დაშინების - 2.5, ყველა სხვა სახის დანაშაული - 13.1 პროცენტი.

დანაშაულის მსხვერპლთა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისში აღირიცხა, სადაც გამკითხულთა 1.8 პროცენტი სატრანსპორტო საშუალების ქურდობის მსხვერპლი გახდა, 14.4 პროცენტი სატრანსპორტო საშუალების გაქურდვის, 6.1 ძარცვის, 2.0 - ყაჩაღობის, 4.9 პროცენტი - წვრილმანი ქურდობის, ხოლო თავდასხმა-დაშინების მსხვერპლი გამოკითხულთა 1.8 პროცენტი აღმოჩნდა.

დანაშაულის მსხვერპლთა ყველაზე დაბალი მაჩვენებელი სოფლის ტიპის დასახლებებში შეინიშნება. კვლევის შედეგების მიხედვით, სოფლის ტიპის დასახლებებში ყაჩაღობის მსხვერპლი გამოკითხულთა 0.5 პროცენტი აღმოჩნდა. სატრანსპორტო საშუალების ქურდობის მსხვერპლი - 1 პროცენტი. სატრანსპორტო საშუალების გაქურდვის - 6.4 პროცენტი, წვრილმანი ქურდობის - 1.4 პროცენტი, თავდასხმა-დაშინების მსხვერპლი გამოკითხულთა 0.7 პროცენტი აღმოჩნდა.

*24 საათი*

# მამალაძის ადვოკატი განაჩენს ასაჩივრებს

ლევან მამალაძის ინტერესების დამცველი ალექსანდრე ალადაშვილი სააპელაციო სასამართლოში თბილისის საქალაქო სასამართლოს იმ განაჩენს ასაჩივრებს, რომლის საფუძველზეც, ყოფილ გუბერნატორს 17 წლით პატიმრობა მიესაჯა.

მამალაძის ადვოკატი ირწმუნება, რომ ბრალდების მხარეს, ფაქტობრივად, არ მოეპოვება არანაირი მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, რომ ლევან მამალაძემ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში უფლებამოსილება ბოროტად გამოიყენა.

როგორც ცნობილია, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ ნატა თედეშვილმა ლევან მამალაძეს განაჩენი დაუსწრებლად გამოუტანა. ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს პირისთვის დაუსწრებლად ბრალის წაყენებისა და განაჩენის გამოტანის პროცედურას.

გენერალურმა პროკურატურამ ლევან მამალაძეზე ძებნა 2004 წლის იანვარში გამოაცხადა.

პროკურატურის ინფორმაციით, წარდგენილ ბრალდებათაგან ერთ-ერთი ეპიზოდი შეეხება 1997 წელს ბრიტანელ ბიზნესმენ ჯაი პანდიტისთვის ათასობით დოლარის ქრთამის გამოძალვას, რომლითაც მამალაძემ 35 000 დოლარად ღირებული ავტომანქანა "შევროლე ბლეიზერი" შეიძინა.

ლევან მამალაძის წინააღმდეგ სისხლის საქმის აღძვრის შემდეგ, პროკურატურამ მიიღო გადაწყვეტილება მისთვის დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის შესახებ.

*ინტერპრესნიუსი*

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი....................................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი....................................................

საკონტაქტო ტელეფონი....................................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]

1. მეტროს სადგური [illegible];
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური [illegible];
6. მეტროს სადგური [illegible];
7. მეტროს სადგური [illegible], ([illegible]);
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. [illegible] "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს [illegible] მისამართზე: [illegible] თბილისი, წერეთლის გამზ.72 იურიდიული ოფისი "გაპი".

# "იტერა" საქართველოს მთავრობას უჩივის

პირველი გვერდიდან




ეს არის ძირითადად 1996-2001 წლებში "იტერას" მიმართ წარმოქმნილი დავალიანება, რომელიც დღემდე სსხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებს ერიცხებათ. 2003 წელს მაშინდელი პრეზიდენტის შესაბამისი განკარგულების საფუძველზე მომზადდა ხელშეკრულება "იტერასთან", რომელიც არსებული ვალის რესტუქტურიზაციას ითვალისწინებდა. შეთანხმების თანახმად საქართველოს მთავრობას 2003 წლიდან მოყოლებული, მომავალი შვიდი წლის განმავლობაში, ანუ 2010 წლამდე ყოველკვარტალურად უნდა ეხადა ვალის გარკვეული ნაწილი. წინასწარ გაწერილი გრაფიკით ენერგეტიკის სამინისტროს ამ დროისთვის 6 მილიონი დოლარი უნდა დაეფარა. როგორც დღეს ირკვევა, სამინისტროს არც ძველ და არც ახალ ხელმძღვანელობას არცერთი თეთრი არ გადაუხდიათ.

**"ამაზე შეთანხმება ენერგეტიკის სამინისტროს, "იტერასა" და "იტერა-LLC" შორის ყოფილი ხელისუფლების დროს გაფორმდა. დავალიანება "იტერას" მიმართ 2001 წლამდე სახელმწიფო მფლობელობაში არსებული გამანაწილებელი კომპანიებისთვის მიწოდებული ბუნებრივი აირის საფასურის გადაუხდელობის გამო დაგროვდა",** - აცხადებს პატარიძე.

იგი იმედოვნებს, რომ "იტერას" მიერ საარბიტრაჟო სასამართლოში ჩივილი უარყოფით რეზონანსს არ გამოიწვევს და სანამ ურთიერთობა დაიძაბება, მხარეებს შორის კონსენსუსი მიიღწევა.

ოფიციალური თბილისის პოზიციით, ენერგეტიკის სამინისტროს, რომელმაც შევარდნაძის მმართველობის პერიოდში მოაწერა ხელი ხსენებულ დოკუმენტს და რომლითაც აღიარა დავალიანების გადახდის ვალდებულება, ამის უფლება არ ჰქონდა. ენერგეტიკის მინისტრის ნიკა გილაურის თქმით, აღნიშნული შეთანხმება მაშინდელმა მინისტრმა დავით მირცხულავამ კანონდარღვევით გააფორმა.

როგორც ირკვევა ენერგეტიკის სამინიტრო ერთადერთი უწყება არ არის, რომლიდანაც კუთვნილი ვალის ამოღებას "იტერა" სასამართლოს გზით აპირებს. როგორც "იტერა-საქართველოს" წარმომადგენელმა, თემურ გაჯიევმა "24 საათს" განუცხადა, რუსულ კომპანიას ანალოგიური სარჩელები სხვადასხვა კერძო და სახელმწიფო სტრუქტურების წინააღმდეგაც აქვს მომზადებული. "იტერას" მევალეთა გრძელ ნუსხაში მოხვდნენ "რუსთავის მეტალურგიული ქარხანა", სს "აზოტი", "ანგლოილი" და სხვა. თემურ გაჯიევის ინფორმაციით, სულ ქართული კომპანიების მიერ "იტერას" მიმართ დაგროვილი დავალიანება 104 მილიონ აშშ დოლარს აღწევს, რომლის ამოღებას "იტერა" ნელ-ნელა იწყებს. **"რაიმე განსაკუთრებული ინტერესი ენერგეტიკის სამინისტროს მიმართ "იტერას" არ გააჩნია. სამინისტრო არ არის პირველი და არც უკანასკნელი. ჩვენი კომპანიის იურიდიულ დეპარტმენტს მომზადებული აქვს რამდენიმე სარჩელი, მათ შორის, "აზოტის" წინააღმდეგ",** - აღნიშნა გაჯიევმა.

ერთი საინტერესო დეტალი: გასული წლის მიწურულს, როცა სს "აზოტზე" ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ კონკურსი გამოაცხადა, "იტერა" ერთ-ერთი იყო, რომელმაც მისი შეძენის სურვილი გამოთქვა. მაშინ რუსული გაზკომპანია, კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში "აზოტის" ყველა ვალისა და ქართული მხარის მიერ დაგროვილი სხვა დავალიანებების, მათ შორის - "თბილგაზისა" და "თბილსრესის" ვალების ბოლო თეთრამდე ჩამოწერის პირობას დებდა. ამ ორი ენერგო ობიექტის ვალი კი იმ დროისთვის ექვსნიშნა ციფრით გამოიხატებოდა.

# სიღარიბეს ახალი მეთოდით დაადგენენ

მსოფლიო ბანკის აქტიური მეთოდოლოგიური მხარდაჭერითა და რეკომენდაციებით სტატისტიკის დეპარტამენტი გეგმავს უახლოეს მომავალში გადავიდეს სიღარიბის მაჩვენებლების გაანგარიშების თანამედროვე მეთოდოლოგიაზე. სტატისტიკის დეპარტამენტის განმარტებით, ახალი მეთოდოლოგია პრინციპულად განსხვავდება საქართველოში ამჟამად მოქმედი მეთოდოლოგიისაგან და ადაპტირებულია მსოფლიოს მრავალ განვითარებულ ქვეყანაში. "სიღარიბის ინდიკატორების გამოსათვლელად ორი კომპონენტია საჭირო - სიღარიბის ზღვარი და ე.წ. "კეთილდღეობის მაჩვენებელი", რომლის სიღარიბის ზღვართან შედარებით დგინდება, ღარიბია თუ არა მოცემული დაკვირვების ერთეული, შინამეურნეობა ან ინდივიდი. თუ კეთილდღეობის მაჩვენებელილ მაჩვენებელი ნაკლებია სიღარიბის ზღვარზე, შინამეურნეობა ან ინდივიდი ღარიბად ჩაითვლება", - განუცხადეს "ჯი-ეიჩ-ენს" სტატისტიკის დეპარტამენტში. რაც შეეხება კეთილდღეობის მაჩვენებელს, სტატისტიკის დეპარტამენტის განმარტებით, ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს შემოსავლებთან, ხარჯებთან ან დაკვირვების ერთეულის რომელიმე სხვა მახასიათებელთან და წარმოადგენს შინამეურნეობის ერთ ექვივალენტურ მოზრდილზე გათვლილ სამომხმარებლო ხარჯებს. მათივე განმარტებით, ეს მაჩვენებელი მიენიჭება როგორც მთელს შინამეურნეობას, ისე მის თითოეულ წევრს. სიღარიბის ზღვრის ოფიციალური ინდიკატორების გამოსათვლელად აიღება საარსებო მინიმუმი. განიხილება სიღარიბის სამი ინდიკატორი: 1. სიღარიბის დონე, რომელიც უდრის სიღარიბის ზღვარზე ნაკლები კეთილდღეობის მაჩვენებლის მქონე ერთეულთა წილს მთელს ერთობლიობაში; 2. სიღარიბის სიღრმე, რომელიც ღარიბთა რაოდენობის გარდა იმასაც ითვალისწინებს, თუ საშუალოდ რამდენად დაშორებულია მათი კეთილდღეობის მაჩვენებელი სიღარიბის ზღვრიდან; 3.სიღარიბის სიმწვავე, რომელიც სიღარიბის ზღვრიდან ღარიბთა დაშორების გათვალისწინებისას მით უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს დაკვირვების ერთეულს, რაც უფრო ღარიბია იგი.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტები გაერთიანდება

როგორც საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ორი დღის წინ ბათუმში მოსახლეობისადმი სატელევიზიო მიმართვის დროს განაცხადა, ქვეყანაში სამეწარმეო გარემოს გასაუმჯობესებლად, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოხდეს ფინანსური ურთიერთობების დეკრიმინალიზაცია და შეიქმნას თანამედროვე და ეფექტური საგადასახადო დეპარტამენტი. მისი თქმით, პირველ წლებში, როდესაც ახალმა ხელისუფლებამ კორუფციის წინააღმდეგ სერიოზული ბრძოლა დაიწყო, მეწარმესთან ურთიერთობა, ძირითადად, საგადასახადო პოლიციის მეშვეობით ხდებოდა. თუმცა, როგორც კი, საგადასახადო ინსპექტორი ბიზნეს-სუბიექტის შესამოწმებლად შედის, ავტომატურად ხდება ამ სუბიექტის წარმომადგენლის კრიმინალიზაცია, რადგან ის სისხლის სამართლებრივ ურთიერთობაში შედის - საგადასახადო დარღვევით სისხლის სამართლის კოდექსიც ავტომატურად ირღვევა.

"ჩვენ საგადასახადო სამსახურის ისეთი რეფორმა უნდა განვახორციელოთ, სადაც საგადასახადო და საბაჟო სამსახურები გაერთიანდება, ხოლო ფინანსური პოლიცია ამ სტრუქტურის მხოლოდ ერთ-ერთი შენაერთი იქნება და მასთან ურთიერთობა ძალზე იშვიათ შემთხვევებში იქნება," - განაცხადა პრეზიდენტმა. მისივე თქმით, ეს რეფორმა თვეებს მოითხოვს და იმის ილუზია არავის უნდა შეექმნას, რომ ეს სამსახურები ჯერ გაერთიანდება, შემდეგ კი დაიშლება. "ასე აღარ მოხდება. ეს არ იქნება ჩემი წინამორბედის დროინდელი რეფორმა, რომლის დროსაც რამდენიმე უწყება მექანიკურად გააერთიანეს. ამის განხორციელება მრავალთვიანი პროცესია და მას სწორი და მეცნიერული მიდგომა სჭირდება" - აღნიშნა სააკაშვილმა. პრეზიდენტის განცხადებით, რეფორმა უნდა წარიმართოს სრული კომპიუტერიზაციის პირობებში და საინფორმაციო ბაზა უნდა გაერთიანდეს. "საგულისხმოა ისიც, რომ არც ერთი პროფესიონალი არ იქნება შემცირებული და სამსახურიდან დათხოვნილი, პირიქით, მათი ცოდნა და გამოცდილება ბევრად უფრო ეფექტიანად უნდა გამოვიყენოთ. თუმცა, ამავე დროს, ბიზნესმენმა უნდა იცოდეს, რომ ურთიერთობა მას ცივილიზებულ სახელმწიფოსთან მოუწევს" - განაცხადა პრეზიდენტმა.

*ინტერპრესნიუსი*

## მოკლედ

### ცხინვალის მოსახლეობას 15-წლიანი პაუზის შემდეგ გაზის მიწოდება აღუდგება

სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რესპუბლიკის სახელმწიფო გაერთიანება "ენერგეტიკამ" ცხივალის მარცხენა ნაწილის გაზიფიკაცია უკვე დაასრულა. ცხინვალის მოსახლეობის ნახევარს, პირველად ბოლო 15 წლის განმავლობაში, ბუნებრივი აირის მიწოდება აღუდგება. სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რესპუბლიკის სახელმწიფო გაერთიანება "ენერგეტიკამ" ცხივალის მარცხენა ნაწილის გაზიფიკაცია უკვე დაასრულა. გაერთიანების გენერალური დირექტორის ვლადიმერ ბიტიევის ინფორმაციით, ამჟამად გაზსადებების დამონტაჟება ამჟამად ქალაქის ჩრდილოეთ უბნებში ხორციელდება. პარალელურად მიმდინარეობს ელექტრო გადამცემი ანძების განახლება, რომლებიც ჩრდოეთ ოსეთიდან არის შემოტანილი. **ჯი-ეიჩ-ენი**

### იაპონელები საქართველოში ნაგვის გადამუშავებით დაინტერესდნენ

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების საკითხებზე მომუშავე იაპონელთა ჯგუფი საქართველოში ნაგვის გადამუშავებით დაინტერესდა. იაპონელი სპეციალისტები თბილისში, გლდანისა და იაღლუჯას მოქმედი და ლილოს დახურული ნაგავსაყრელების ტერიტორიაზე აგრეგატების დამონტაჟებას აპირებენ, სადაც ნაგვის ლპობის შედეგად წარმოქმნილი მეთანი ელექტროენერგიად გარდაიქმნება. როგორც "მედიანიუსს" თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსმა კობა სუბელიანმა უთხრა, აღნიშნული წესით გამომუშავებული ელექტროენერგიის მოცულობა გლდანი-ნაძალადევის რაიონის მოსახლეობისთვის საკმარისი იქნება. სუბელიანის თქმით, იაპონელი სპეციალისტები კეთილმოწყობის სამსახურთან მემორანდუმის გაფორმების შემდეგ, პროექტს მსოფლიო ბანკსა და დონორ ორგანიზაციებს წარუდგენენ. იაპონელების დაინტერესება, უმთავრესად, კომერციული ხასიათისაა, დონორი ორგანიზაციები კი აღნიშნული პროექტის დაფინანსებით ეკოლოგიურ პრობლემას მოაგვარებენ. სუბელიანის განმარტებით, 12 მილიონი დოლარის ღირებულების პროექტი, დაფინანსების შემთხვევაში, სამონტაჟო სამუშაოების დაწყებიდან 6-7 თვეში დასრულდება. **მედიანიუსი**

### ს/ს "ბორჯომმედსერვისი" 420 000 დოლარად იყიდება

ბორჯომში მდებარე ს/ს "ბორჯომმედსერვისი" 420 000 დოლარად იყიდება.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ს/ს "ბორჯომმედსერვისის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ აქციათა 93,2%-ის პრივატიზების მიზნით აუქციონი გამოაცხადა, რომლის საწყისი ღირებულება 420 000 დოლარით განისაზღვრა. ობიექტის საქმიანობის სფერო სამედიცინო-სასტუმრო მომსახურებაა. მისი საწესდებო კაპიტალი 599 00 ლარს შეადგენს. დაინტერესებულ პირთათვის განცხადებების მიღება ეკონომიკური განვითარების სამინისტროში 7 აგვისტოდან დაიწყება და 7 სექტემბრამდე გაგრძელდება. ტენდერი 7 სექტემბერს 18.00 საათზე ჩატარდება. **ინტერპრესნიუსი**

### ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერას საინვესტიციო სააგენტო განახორციელებს

ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერას საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო განახორციელებს. ამას სააგენტო "ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ" კანონის საფუძველზე შეძლებს, რომელიც ძალაში მიმდინარე წლის 1 აგვისტოდან შევიდა. როგორც "ინტერპრესნიუსს" საინვესტიციო სააგენტოს ხელმძღვანელმა მერაბ ლომინაძემ განუცხადა, კანონი ხელს შეუწყობს საქართველოში ინვესტიციების განხორციელებას, მათი დაბანდებისა და სამეწარმეო საქმიანობისთვის საჭირო პროცედურების გაუმჯობესებით და დამატებითი სამართლებრივი რეჟიმის შექმნით. ლომინაძის თქმით, კანონს შემოაქვს "განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციის" მცნება. ამ სტატუსით ის ინვესტორები ისარგებლებენ, რომლებსაც საქართველოში განხორციელებული აქვთ, ან აპირებენ 8 მლნ ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელებას, ან ის პირები, რომლებიც ქვეყნის მაღალმთიან რეგიონებში 2 მლნ ლარის ინვესტიციას ჩადებენ. სააგენტოს ხელმძღვანელის განცხადებით, კანონის თანახმად, ინვესტორს იმ ობიექტის შესყიდვის შესაძლებლობა ექნება, რომელიც სახელმწიფო საპრივატიზებო ნუსხაში არ იქნება განთავსებული. მისი მოთხოვნით, ობიექტი შევა საპრივატიზაციო ნუსხაში, გამოცხადდება კონკურსი ან აუქციონი და სხვა დაინტერესებულთა არარსებობის შემთხვევაში ინვესტორს ეს ობიექტი პირდაპირი მიყიდვის წესით გადაეცემა. ინვესტორებისთვის ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს მომსახურება, კანონის თანახმად, ფასიანი იქნება. თუმცა, ლომინაძე აცხადებს, რომ მომსახურების ღირებულება იქნება იმის ადექვატური, რა ხარჯსაც სააგენტო გასწევს. **მედიანიუსი**

### ხორბლისა და ქერის მოსავლის მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა

თავთავიანი კულტურების (ხორბლისა და ქერის) საშემოდგომო ნათესების მოსავლის აღება თითქმის დასრულებულია. წინასწარი მონაცემებით, წელს ხორბლისა და ქერის მოსავლის მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა. სტატისტის მიხედვით, უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში უფრო მაღალი მოსავლიანობა მხოლოდ 2001 წელს იყო დაფიქსირებული. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, ივლისის მდგომარეობით 9608 ჰექტარზე აღებულმა ხორბლის მოცულობამ 18646 ტონა შეადგინა. ანუ ერთ ჰექტარზე 1,9 ტონაა შეადგინა მოსავლიანობის მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ქერის აღებისას. 6789 ჰექტარზე - 9123 ტონა შეადგინა, ანუ ერთ ჰექტარზე აღებულმა მოსავალმა 1,3 ტონაშეადგინა. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში უფრო მაღალი მოსავლიანობა მხოლოდ 2001 წელს იყო დაფიქსირებული. სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, ამინდის არცთუ ხელსაყრელმა პირობებმა (დაბალი ტემპერატურა აპრილში, წვიმები აპრილსა და მაისში, გვალვა ივნისში) საგრძნობლად შეაფერხა ნათესების განვითარება. მღალ მოსავლიამობას კი თესვისას მაღალი ხარისხის თესლების გამოყენებას უკავშირდებენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

### საავტომობილო გზების დეპარტამენის ხარჯებმა 61 მილიონი ლარი შეადგინა

2006 წლის პირველ ნახევარში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენის ფაქტობრივმა გასავალმა 60 მილიონ 942,1 ათასი ლარი (დაახლოებით 33 მილიონ 856,7 ათასი დოლარი) შეადგინა. ამ თანხიდან 60 მილიონ 054,7 ათასი ლარი გზების სარემონტო, საპროექტო და სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს მოხმარდა. უშუალოდ გზების პერიოდულ რემონტსა და სარეაბილიტაციო სამუშაოებს 18 მილიონ 269,6 ათასი ლარი მოხმარდა. ზამთრის პერიოდში კი გზებზე 10 მილიონ 299,2 ათასი ლარი დაიხარჯა. საავტომობილო გზების დეპარტამენტმა გარკვეული ხარჯები სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლადაც გაიღო. Aამ კატეგორიის ხარჯებმა 2006 წლის პირველ ნახევარში 5 მილიონ 878,6 ათასი ლარი შეადგინა. სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის ჩაქვი-მახინჯაურის მონაკვეთის მშენებლობაზე 795.4 ათასი ლარი დაიხარჯა. მდინარეების კალაპოტების გამაგრებით სამუშაოებს კი 2 მილიონ 695 ათასი ლარი მოხმარდა. ჩატარებულ სამუშაოთაგან საავტომობილო გზების დეპარტამენტში განსაკუთრებულად აღნიშნავენ სამუშაოებს, რომელიც ჩატარდა ნატახტარი-აღაიანის გზის რეაბილიტაციისთვის. ამ მიზნით ბიუჯეტიდან 49 მილიონ 347,0 ათასი ლარი გამოიყო. **ჯი-ეიჩ-ენი**




*მოკლედ*

## კერიკი სეზონის ბოლომდე "დაისვენებს"

"მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველი მაიკლ კერიკი, რომელიც კლუბმა გასულ კვირას "ტოტენჰემ ჰოთსფურზიდან" შეიძინა, სეზონის დასაწყისს გამოტოვებს.

ინგლისელმა ფეხბურთელმა ამსტერდამში მიმდინარე კომერციულ ტურნირზე "აიაქსთან" მატჩში მიიღო ტრავმა.

"სამწუხაროდ, მაიკლი რამდენიმე კვირით დაგვაკლდება", - განაცხადა "წითელი ეშმაკუნების" თავკაცმა სერ ალექს ფერგიუსონმა.

"მანჩესტერმა" ამსტერდამული კლუბი ანგარიშით 1:0 დაამარცხა. გამარჯვების გოლი რაიან გიგზმა 77-ე წუთზე გაიტანა.

## "აიალა, მოშორდი "მესტალიიდან!"

"ვალენსიას" არგენტინელმა მცველმა რობერტო აიალამ უარი თქვა კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივებაზე, რომლის ვადა მომდევნო წელს იწურება. ფეხბურთელმა კლუბიდან წასვლა "ვილიარეალში" თამაშის სურვილით ახსნა.

არგენტინელის ამ განცხადების მიუხედავად, "ღამურების" ხელმძღვანელობამ მისი თხოვნა არ დააკმაყოფილა. "ვალენსიას" გულშემატკივრები კი აიალას გადაწყვეტილებამ ისე გააღიზიანა, რომ კლუბის ვარჯიშზე მისულმა ფანებმა გამოფინეს პლაკატები წარწერით: "აიალა, მოშორდი "მესტალიიდან!".

ამჟამად რობერტო აიალა სამშობლოშია და ესპანეთში დაბრუნებას არ ჩქარობს.

## რონალდინიო "ბარსას" არ დატოვებს

2005 წლის "ოქროს ბურთის" მფლობელმა ბრაზილიელმა რონალდინიომ უარყო ესპანურ პრესაში გავრცელებული ხმები "მილანში" მისი გადასვლის თაობაზე.

ცოტა ხნით ადრე ესპანური პრესა იტყობინებოდა, რომ იტალიური "მილანი" რონალდინიოს სანაცვლოდ 100 მილიონ ევროს იხდიდა, თავად ფეხბურთელს კი "ბარსელონაზე" უკეთეს პირობებს სთავაზობდა.

"ყოველთვის სასიამოვნოა, როცა გესმის, რომ შენით ლეგენდარული კლუბია დაინტერესებული, მაგრამ "ბარსელონაში" ბედნიერი ვარ და არსად წასვლას არ ვაპირებ", - განაცხადა ბრაზილიელმა, რომელიც კატალონიურ კლუბთან ერთად მექსიკაში წინასასეზონო ტურნეში იმყოფება.

## გუტიმ თითი მოიტეხა

მადრიდის "რეალის" ნახევარმცველმა ხოსე მარია გუტიმ იტალიურ "რეჯინასთან" გამართულ ამხანაგურ მატჩში მარცხენა ხელის თითი მოიტეხა.

ავსტრიის ქალაქ ირდინგში გამართული შეხვედრა მადრიდელთა გამარჯვებით 1:0 დასრულდა. ერთადერთი გოლი გუტის გადაცემის შემდეგ "რეალის" კაპიტანმა რაულმა გაიტანა. იმავე მატჩში შედგა "სამეფო გუნდის" ორი ახალი ფეხბურთელის - ემერსონისა და რუუდ ვან ნისტელროის დებიუტი.

## ვალენსია "უიგანში"

გერმანიაში გამართული მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთმა საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელმა, ეკვადორელმა ლუის ვალენსიამ პრემიერლიგის "უიგანთან" გააფორმა კონტრაქტი.

21 წლის ფეხბურთელი მანამდე ესპანეთის მეორე დივიზიონის კლუბ ულევის "რეკრეატივოში" გამოდიოდა.

## "ჩელსის" ჯო კოული დააკლდება

ლონდონის "ჩელსის" ნახევარმცველი ჯო კოული ტრავმის გამო გუნდს სეზონის დასაწყისში ვერ დაეხმარება. ფეხბურთელმა მუხლი იტკინა ამერიკის ლიგის MLS-ის ვარსკვლავების წინააღმდეგ მატჩში, რომელიც ლონდონელებმა 0:1 დათმეს.

"ლონდონში ჩასვლამდე ზუსტად ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ ჯოს ალბათ სერიოზული ტრავმა აქვს, რაც ბევრ პრობლემას შეგვიქმნის", - განაცხადა "არისტოკრატთა" პორტუგალიელმა თავკაცმა ჟოზე მოურინიომ.

## რობსონი საავადმყოფოშია

ინგლისის ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი სერ ბობი რობსონი საავადმყოფოში მოათავსეს.

73 წლის სპეციალისტი ცოტა ხნის წინ "იფსვიჩის" საპატიო პრეზიდენტად დაასახელეს. გუნდის სასტარტო მატჩის წინ გულშემატკივრებმა რობსონს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს. მატჩის მეათე წუთზე გუნდის პრეზიდენტმა თავი შეუძლოდ იგრძნო.

შეგახსენებთ, რომ ბობი რობსონს მაისში ფილტვზე სიმსივნური წანაზარდი მოკვეთეს.

## "ოლიმპიკო" დისკვალიფიცირებულია

ბრაზილიის სპორტულმა ტრიბუნალმა საფეხბურთო კლუბ "გრემიოს" სტადიონი "ოლიმპიკო" რვამატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. "ინტერნასიონალთან" შეხვედრისას გულშემატკივართა უსაქციელობის გამო ქვეყნის ორგზის ჩემპიონებს ჯარიმის სახით 92 ათასი დოლარის გადახდაც მოუწევთ.

"ოლიმპიკოს" დისკვალიფიკაცია ამ კვირიდან შევა ძალაში.

## რეიესმა "რეალი" უარყო

ლონდონის "არსენალის" ნახევარმცველმა ხოსე ანტონიო რეიესმა საბოლოოდ უარყო ხმები მადრიდის "რეალში" მისი გადასვლის თაობაზე.

ესპანელმა ფეხბურთელმა კლუბის ვებ-გვერდზე ოფიციალური განცხადება გააკეთა, რომელშიც საჯაროდ გამოტყდა ლონდონური კლუბისადმი სიყვარულში.

"არსენალის" დატოვებას არ ვაპირებ და ამაზე არც მიფიქრია. ჩვენს ახალ სარბიელზე "ემირატებზე" გამოსვლა თითოეული ფეხბურთელისთვის დიდი პატივია", - განაცხადა რეიესმა.

## ლუკა ტონი გაშვებას ითხოვს

სერია ა-ს საუკეთესო ბომბარდირი ლუკა ტონი ფლორენციული "ფიორენტინას" პრეზიდენტ დიეგო დელა ვალეს მილანის "ინტერში" გაშვებას სთხოვს.

იმის გამო, რომ "ფიორენტინა" სერია ა-დან გავარდნას გადაურჩა, კლუბის ხელმძღვანელობამ ლუკა ტონი ტრანსფერზე აღარ დააყენა. თუმცა, 29 წლის თავდამსხმელის თქმით, ერთადერთი მიზეზი, რის გამოც "ინტერში" გადასვლა უნდა, ჩემპიონთა ლიგაზე თამაშია.

## "ნიუკასლი" ჰოლანდიელებით დაინტერესდა

ბრიტანულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, "ნიუკასლ იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელი გლენ რიოდერი ჰოლანდიის ნაკრების ორი ფეხბურთელითაა დაინტერესებული.

ინგლისელი სპეციალისტი გასულ კვირას ნიდერლანდებში იმყოფებოდა და "ალკმაარი"-"არსენალის" მატჩზე, რომელზეც ჰოლანდიელ მცველს იორის მატიისენს აკვირდებოდა.

რიოდერის ინტერესის სფეროში "ფეიენოორდის" თავდამსხმელი დირკ კუიტიცაა.

რაც შეეხება მარსელის "ოლიმპიკის" მცველს ჟან-ალენ ბუმსონგს, ფეხბურთელის "ნიუკასლში" გადასვლის საკითხი საბოლოოდ ამ კვირას გაირკვევა.

## იბრაჰიმოვიჩი დაჯარიმდება

ტურინის "იუვენტუსი" შვედ თავდამსხმელს ზლატან იბრაჰიმოვიჩს, რომელმაც უარი თქვა ამხანაგურ მატჩში მონაწილეობაზე, სერიოზული თანხით დააჯარიმებს.

"ის არც კი გამოცხადდა კლუბის ბაზაზე, რის გამოც დაისჯება და დიდი თანხით დაჯარიმდება", - განაცხადა "იუვეს პრეზიდენტმა ჯოვანი ჯილიმ.

## "ლივორნო" მცველით გაძლიერდა

იტალიური "ლივორნო", რომელიც შემთხვევით მოხვდა უეფას თასზე, "სამპდორიას" მცველით სიმონე პავანათი გაძლიერდა.

32 წლის ფეხბურთელმა "ლივორნოსთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. "სამპდორიას" ღირსებას სიმონე პავანი ორი სეზონის განმავლობაში იცავდა. მანამდე იტალიელი ფეხბურთელი "ატალანტაში", "ვენეციასა" და "მოდენაში" გამოდიოდა.

## ო`ნილი "ასტონ ვილას" სათავეში

ინგლისური "ასტონ ვილას" ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელის პოსტზე ოფიციალურად დაამტკიცა მარტინ ო`ნილი. 54 წლის სპეციალისტი სამწვრთნელო საქმიანობას 15-თვიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა.

გასული წლის მაისში ო`ნილმა შოტლანდიური "სელტიკი" მეუღლის ავადმყოფობის გამო დატოვა.

"მიხარია, რომ საყვარელ საქმეს ხელახლა დავუბრუნდი. ენერგიით სავსე ვარ და მინდა, რაც შეიძლება მალე დავიწყო მუშაობა", - განაცხადა "ასტონ ვილას" ახალმა თავკაცმა, რომელმაც ამ პოსტზე დევიდ ო`ლირი შეცვალა.

## ვის დარჩება რიბერი?

საფრანგეთის ნაკრებისა და "მარსელის" ნახევარმცველის ფრანკ რიბერის განცხადებით, პროფესიული ზრდის თვალსაზრისით, მას კლუბში დარჩენა აღარ სურს.

"ერთადერთი, რის გამოც "მარსელიდან" წასვლა მინდა, ჩემპიონთა ლიგაზე თამაშის სურვილია", - განაცხადა ფრანგმა ფეხბურთელმა.

თუმცა, რიბერის "მარსელთან" კონტრაქტი ჯერაც ძალაშია, რის გამოც კლუბს ხელმძღვანელთა თანხმობის გარეშე ვერ დატოვებს.

23 წლის ნახევარმცველით უკვე დაინტერესდნენ საფრანგეთის ჩემპიონი "ლიონი" და რამდენიმე ევროპული გრანდი. მათ შორის "არსენალი", "მანჩესტერ იუნაიტედი" და მადრიდის "რეალი".

# უხვგოლიანობის სინდრომი

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში გუშინ გამართულმა საქართველოს ჩემპიონატის მეორე ტურმა ლოგიკურად, მოულოდნელი და სენსაციური შედეგების გარეშე ჩაიარა. არაორდინარალური მხოლოდ ის იყო, რომ მატჩების უმეტესობაში შესაშური შედეგიანობა აღინიშნა. ახლად დაწყებულ ჩემპიონატში, როდესაც გუნდები შორს არიან ოპტიმალური ფორმისგან, ერთი შეხედვით, ასეთი უხვგოლიანობა არ უნდა დაფიქსირებულიყო, მაგრამ ამას ლოგიკური ახსნა აქვს. უმაღლესი ლიგის გუნდების ერთი ჯგუფი მეორისგან იმდენად განსხვავდება ფინანსური, დაკომპლექტების, ინფრასტრუქტურული და ყველა სხვა თვალსაზრისით, როგორც ცა და დედამიწა. ეს კი იმის თქმის საფუძველს გვაძლევს, რომ ასტრონომიული ანგარიშები თითქმის ყოველ მომდევნო ტურში დაფიქსირდება.

მეორე ტურის ცენტრალური მატჩი მცხეთაში, თბილისის "ვიტ ჯორჯიასთვის" ბოლო სამი სეზონის განმავლობაში საშინაო არენად ქცეულ "არმაზის" სტადიონზე გაიმართა. გასული სეზონის ორი საუკეთესო გუნდი - ვიცე-ჩემპიონი "ვიტ ჯორჯია" და ჩემპიონი ბოლნისის "სიონი" შეხვდნენ ერთმანეთს. ეს გუნდები წელსაც, სულ მცირე, საპრიზო ადგილებზე აცხადებენ პრეტენზიას. ასე რომ, ურთიერთშეხვედრას არა 3, არამედ 6 ქულის ფასი აქვს.

ამ ფაქტისა და გუნდების სტატუსის გათვალისწინებით, თამაშმა ნამდვილად არ გაუცრუა იმედი სტადიონზე მისულ გულშემატკივარს და მატჩმა სანახაობრივ, ლამაზ ბრძოლაში ჩაიარა.

გუნდებმა უარი თქვეს ყოველგვარ სადებიუტო დაზვერვაზე და პირველივე წუთებიდან საქმეზე გადავიდნენ. მე-3 წუთზე სტუმრებმა კარგი შეტევა განახორციელეს, კამერუნელი თავდამსხმელი ევოჩე ნადირაშვილთან პირისპირ გაიყვანეს და აფრიკელმა შანსი არ დაუტოვა მეკარეს. თამაში განახლდა თუ არა, ბურთს ისევ ბოლნისელები დაეუფლნენ. ამჯერად ბაჯელიძე გაიყვანეს გარღვევაზე, რომლის დარტყმა ნადირაშვილმა მოიგერია და თავისი გუნდის საგოლე შეტევაც წამოიწყო, რომლის დამაგვირგვინებელ ფაზაში სახოკია გავიდა მეკარესთან პირისპირ და ანგარიში გაქვითა. გოლების "გაცვლის" შემდეგაც ღია, შემტევი ფეხბურთი გაგრძელდა. მეოცე წუთამდე "სიონმა" კიდევ ორი სახიფათო შეტევა განახორციელა, რომლის დამაგვირგვინებელ ფაზაში ჯერ ევოჩემ, ხოლო შემდეგ ალავიძემ ძელს მოარტყეს ბურთი. საპასუხოდ, "ვიტ ჯორჯიამ" შედეგიანი შეტევა განახორციელა: ღუჭაშვილმა, რომელიც გუშინ თავისი გუნდის შემადგენლობაში საუკეთესო იყო, თავით დაუგდო ბურთი ფეიქრიშვილს და მანაც ძლიერი დარტყმით კიდევ ერთი გოლი გაიტანა. პირველი ტაიმი ასეც დასრულდა - 2:1 მასპინძელთა სასარგებლოდ.

მეორე ნახევარი ისევ სტუმრების აქტიურობით დაიწყო. მათ არაერთხელ დაარტყეს "ვიტ ჯორჯიას" კარში, მაგრამ ყველა ეპიზოდში შეუდარებლად ითამაშა თბილისელთა კიპერმა ნადირაშვილმა. 57-ე წუთზე ვეტერინარებმა შედეგიანი კონტრშეტევა განახორციელეს: ღუჭაშვილმა გამოზომილი პასით სახოკია გაიყვანა დასარტყმელ პოზიციაზე, რომელსაც გოლის გატანა არ გასჭირვებია. დარჩენილი 35 წუთი სტუმართა სრული უპირატესობით წარიმართა. ვიტელები გაჭირვებით ახერხებდნენ მათი იერიშების მოგერიებას და ხშირად აკრძალულ ხერხსაც მიმართავდნენ. ამის გამო მსაჯმა 81-ე წუთზე რაზმაძეს მეორე ყვითელი ბარათი უჩვენა და მოედანი დაატოვებინა. ათი მოთამაშით დარჩენილ ვეტერინარებს კიდევ უფრო გაუჭირდათ. 84-ე წუთზე კიდევ ერთმა კამერუნელმა, ბოიმომ, ერთი გოლი გაქვითა და ანგარიში მინიმუმამდე შეამცირა. ჩემპიონს ქულის გადარჩენის შანსი გაუჩნდა, მაგრამ დრო აღარ ეყო - ვიცე-ჩემპიონმა ანგარიში შეინარჩუნა და ჩემპიონატში პირველი გამარჯვება მიითვალა. "სიონი" კი, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ტურნირში მონაწილეობის გამო პირველი ტური გამოტოვა, ჯერჯერობით უქულოდაა და აუტსაიდერთა ჯგუფშია.

მოულოდნელად დაიწყო მატჩი მიხეილ მესხის სტადიონზე, სადაც თბილისის "დინამომ" გორის "დილას" უმასპინძლა. პირველი გოლი აქაც მე-3 წუთზე გავიდა. "თავი გამოიჩინა" დინამოელმა გიგაურმა, რომელმაც საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. თუმცა, ეს გოლი აშკარად ალოგიკური იყო, რაც მოედანზე შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმაც დაადასტურა. ამ ეპიზოდიდან გორელებმა მხოლოდ ოცი წუთის განმავლობაში დაიცვეს საკუთარი კარი. 24-ე წუთიდან მათი კარის "იავარქმნა" დვალმა დაიწყო. დვალის გოლს 34-ე და 42-ე წუთებზე სანდრო იაშვილმა "დუბლი" მიაყოლა. შესვენებაზე გასვლისას "დინამო" უკვე 3:1-ს იგებდა. მეორე ტაიმში დვალმა კიდევ ორი გოლი გაიტანა და "ჰეთ თრიკი" გაიფორმა, კიდევ ერთი გოლი ბობოხიძემ მიითვალა და, საბოლოოდ, "დინამომ" 6:1 გაიმარჯვა. უხვგოლიანი გამოდგა მატჩი რუსთავშიც, სადაც ლიგის დებიუტანტმა რუსთავის "ოლიმპმა" თელავის "კახეთს" 7 უპასუხო გოლი გაუტანა. შედარებით მოკრძალებულად, მაგრამ ასევე დიდი ანგარიშით - 3:0 დაამარცხა ჩემპიონატის კიდევ ერთმა ფავორიტმა "ზესტაფონმა" უმაღლეს ლიგას დაბრუნებული თბილისის "მერანი". გოლები ღონღაძემ (23`) და ჭელიძემ (60`, 89`) გაიტანეს.

**მე-2 ტური**

| | |
|---|---|
| დინამო (ბთ) - ამერი | 0:1 |
| დინამო (თბ) - დილა | 6:1 |
| მერანი - ზესტაფონი | 0:3 |
| ვიტ ჯორჯია - სიონი | 3:2 |
| ოლიმპი - კახეთი | 7:0 |
| ჩიხურა - ტორპედო | 0:0 |
| ბორჯომი - ლოკომოტივი | 0:0 |

# ლამპარდის თვალით დანახული ამერიკა

კალიფორნიაში მყოფმა ლონდონის "ჩელსიმ" "ტოიოტას" სტადიონზე შეკრებილი 21 210 გულშემატკივრის თვალწინ ახალ სეზონში პირველი ამხანაგური მატჩი დათმო. ამერიკის MLS-ის ლიგის ვარსკვლავებმა ლონდონელებს მინიმალური ანგარიშით 1:0 სძლიეს.

მატჩის შემდეგ "არისტოკრატთა" ლიდერ ფრენკ ლამპარდს ინგლისური "უორლდ სოქერის" ჟურნალისტი გაესაუბრა:

- მართალია, დავმარცხდით, მაგრამ სადარდებელი არაფერია. ბევრი ფეხბურთელი ახლახან შემოგვიერთდა და სათანადო ფორმის აღდგენა ვერ მოასწრეს. მთავარია, რომ ამ მატჩში გულშემატკივრებმა გუნდის ყველა ახალწვეული იხილეს მოედანზე.

**- თქვენ თვითონ როგორ ფორმაში ხართ?**

- იდეალურ ფორმაში არც მე ვარ. დასვენება ნამდვილად მჭირდებოდა, თუმცა მაშინაც ვცდილობდი დატვირთვას. მაგრამ, ცხადია, ეს არ მეყო. სულ მცირე, სამი კვირა მაინც მჭირდება, რათა ჩვეულ ფორმას დავუბრუნდე.

**- გუნდის ახალწვეულებზე რას იტყვით?**

- რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ბიჭებმა იოლად შეძლეს გუნდთან ადაპტრება. ანდრეი შევჩენკოცა და მიხაელ ბალაკიც



*ლამპარდი ამერიკელ გულშემატკივრებთან შეხვედრისას.*

მსოფლიო დონის ვარსკვლავები არიან, რის გამოც მათ გვერდით თამაშისას მოედანზე პრობლემები არავის ექმნება. მართალია, ბალაკი უკეთესად საუბრობს ინგლისურად, ვიდრე შევა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის თანაგუნდელებთან შეწყობაში. სალომონ კალუ მშვენივრად გამოიყურება ვარჯიშებზე. ენასთან დაკავშირებით პრობლემები არც მასთან შეგვქმნია.

**- ოდესმე თუ წარმოიდგენდით, რომ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრსა და სნუპ დოგი დოგის პირადად შეხვდებოდით?**

- მართლაც უჩვეულო პრეზენტაცია გამოგვივიდა, თუმცა ძალზე სასიამოვნო. ორივე მათგანის დიდი გულშემატკივარი ვარ, მაგრამ ტონი ბლერი მანამდე არასოდეს მენახა. მისი გამოსვლა შთამბეჭდავი იყო, შესანიშნავი პიროვნებაა და ჩვენთან შეხვედრა მისთვისაც საინტერესო გამოდგა. დღემდე გაუგებარია ჩემთვის, როგორ გამონახა ამერიკელმა რეპერმა საერთო ენა ჩემს თანაგუნდელებთან. მათ კარგად გაუგეს ერთმანეთს. ვფიქრობ, ლოს ანჯელესი იმით არის მსოფლიოში გამორჩეული, რომ აქ ხშირად იმართება მსგავსი შეხვედრები.

**- ამერიკაში "ჩელსის" სამივე ტურნეში ახლდით. ამჯერად რა განსხვავება აღმოაჩინეთ?**

- ვფიქრობ, განსხვავება მარტო მე არ შემინიშნავს. თითოეული ჩვენგანისთვის შესამჩნევი იყო გულშემატკივართა მატება. წინა წლებთან შედარებით, წლეულს ათასობით ქომაგი გვთხოვდა ავტოგრაფს. როცა კალიფორნიაში პირველად ჩამოვედით და ქუჩაში "ჩელსის" მაისურით გავედით, ხალხი გვეკითხებოდა, რომელი გუნდიდან ხართო. არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ აშკარად უფრო პოპულარულები გავხდით. სნუპის გარდა, ვარჯიშზე მსახიობი ოუენ უილსონიც გვესტუმრა და გვითხრა, რომ ფეხბურთის თამაში თვითონაც დაიწყო. მანამდე ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ჰოლივუდის ვარსკვლავი ფეხბურთით დაინტერესდებოდა.

# ბატონი ჯენსონი

## "ჰუნგარორინგმა" ლიდერები დაიფრინა

გიგა გურასაშვილი

*"გერმანიის დიდ პრიზზე" გამარჯვებისა და, შესაბამისად, ჩემპიონატის ლიდერ ფერნანდო ალონსოსთან ჩამორჩენის 11 ქულამდე შემცირების შემდეგ "წითელმა" ბარონმა "დიდ ცირკს" ინტრიგა დაუბრუნა. "ჰუნგარორინგზე" არც ძირითად რბოლამდე და არც მას შემდეგ სტატუს-კვო არ დარღვეულა. პირიქით: დაძაბულობამ იმატა. ჯერ იყო და, მაკლარენელმა კიმი რაიკონენმა მოიგო პოული. ჩემპიონატის ლიდერები ალონსო და შუმახერი კი, შესაბამისად, მე-15 და მე-11 პოზიციებიდან ეკვეთნენ "ჰუნგარორინგის" ტრასას... ვერც ესპანელმა და ვერც გერმანელმა ვერ შეძლეს ფინიშის სწორზე გასვლა. თუმცა, ახლოს იყვნენ წარმატებასთან. კარიერის პირველი გამარჯვება მოიპოვა "ჰონდას" ბრიტანელმა მრბოლმა ჯენსონ ბატონმა. და საერთოდ, პროგნოზები თავდაყირა დადგა.*

ჩემპიონატის ფავორიტები კვალიფიკაციის დაწყებამდე დაისაჯნენ: შვიდგზის ჩემპიონი წითელ ალამზე გვერდის ავლის, ხოლო ალონსო ყვითელ ალამზე ასეთივე საქციელისთვის ორ-ორი საჯარიმო წამით დასაჯეს. ბუნებრივია, ეს ხელს აძლევდათ პირად დავაში ქვედა საფეხურებზე მყოფ მრბოლებს, მათ შორის, "ყინულის კაცად" წოდებულ კიმი რა-



*ბატონმა კარიერაში პირველად პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი.*

იკონენს, რომელმაც შაბათს ზედიზედ მეორედ მოიგო საკვალიფიკაციო რბოლა. ისევე როგორც "ჰოკენჰაიმის" ტრასაზე მოგებული პოულის შემდეგ, ვერც "ჰუნგარორინგზე" შეძლო პირველი საფეხურის შენარჩუნება. განსხვავება კი ის არის, რომ "გერმანიის დიდ პრიზზე" მესამე ადგილი მაინც დაიკავა, ახლა კი საერთოდ რბოლის მიღმა დარჩა.

მოგვიანებით ტრასიდან გავარდა ჩემპიონატის ლიდერი ფერნანდო ალონსო. დიდი დრო არ იყო გასული, რომ მისმა უახლოესმა მდევარმა შუმახერმა ფრანგებს სასიამოვნო სურპრიზი შესთავაზა - თანაც მაშინ, როდესაც მიხაელს მეორე-მესამე ადგილებისთვის მაკლარენელ პედრო დე ლა როსასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ჰქონდა გაჩაღებული - გერმანელს დაკიდების სისტემა გაუფუჭდა და რბოლა შეწყვიტა.

"ჰუნგარორინგის" ტრასაზე საჯინიბოთა უმთავრესი საზრუნავი რბოლისთვის შესაფერი საბურავების შერჩევა იყო. ბოლიდები ძირითადად გარდამავალი საბურავებით დაქროდნენ. გუნდებმა ნაწვიმარ ტრასაზე დაიწყეს რბოლა, არაერთხელ დაკარგეს ტრაექტორია, რასაც მნიშვნელოვანი კორექტივები შეჰქონდა რბოლაში. 22 ბოლიდიდან მხოლოდ 13-მა დაასრულა რბოლა.

აღსანიშნავია ზაუბერელი რობერტ კუბიცას დებიუტი "დიდ პრიზზე". კუბიცა პირველი პოლონელი მრბოლია ფორმულა 1-ის ისტორიაში.

ინტრიგა შენარჩუნებულია. ლიდერებმა უქულოდ დატოვეს "ჰუნგარორინგის" ტრასა. ჯერი "თურქეთის დიდ პრიზზეა", რომელსაც 27 აგვისტოს სტამბულის პარკი უმასპინძლებს.

**"უნგრეთის დიდი პრიზი"**

*"ჰუნგარორინგი" 70 წრე. 4,381 კმ.*

1. ჯენსონ ბატონი ("ჰონდა") 1:52.20.941
2. პედრო დე ლა როსა ("მაკლარენი") +30.8
3. ნიკ ჰაიდფელდი ("ზაუბერ-BMW") +43.8
4. რუბენს ბარიკელო ("ჰონდა") +45.2
5. დევიდ კულჰარდი ("რედ ბული")+1 წრე
6. რალფ შუმახერი ("ტოიოტა") +1 წრე
7. რობერტ კუბიცა ("ზაუბერ-BMW")+1 წრე
8. ფელიპე მასა ("ფერარი") +1 წრე

**მრბოლთა პირადი დავა**

1. ფერნანდო ალონსო ("რენო") 100
2. მიხაელ შუმახერი ("ფერარი") 89
3. ფელიპე მასა ("ფერარი") 51
4. ჯანკარლო ფიზიკელა ("რენო") 49
4. კიმი რაიკონენი ("მაკლარენი") 49
6. ჯენსონ ბატონი ("ჰონდა") 31
7. ხუან პაბლო მონტოია ("მაკლარენი") 26
8. რუბენს ბარიკელო ("ჰონდა") 21
9. ნიკ ჰაიდფელდი ("ზაუბერ-BMW") 19
10. რალფ შუმახერი ("ტოიოტა") 16
11. დევიდ კულჰარდი ("რედ ბული") 14
12. პედრო დე ლა როსა ("მაკლარენი") 10
12. იარნო ტრული ("ტოიოტა") 10
14. ჟაკ ვილნევი ("ზაუბერ-BMW") 7
15. მარკ ვებერი ("უილიამსი") 6
16. ნიკო როსბერგი ("უილიამსი") 4
17. რობერტ კუბიცა ("ზაუბერ-BMW") 2
17. კრისტიან კლინი ("რედ ბული") 2
19. ვიტანტონიო ლუცი ("ტორო როსო") 1

**კონსტრუქტორთა ჩათვლა**

"რენო" 149
"ფერარი" 140
"მაკლარენ-მერსედესი" 85
"ჰონდა" 52
"ზაუბერ-BMW" 28
"ტოიოტა" 26
"რედ ბული" 16
"უილიამსი" 10
"ქოსვორტი" 1

# ჰომო-ლესბოსელთა თეატრალური ფესტივალი



11-12 აგვისტოს ისრაელში გაიმართება მეორე თეატრალური ფესტივალი "ფესტიკვირ". წარმოდგენილი იქნება მხოლოდ ჰომო-ლესბოსელთა ორიგინალური საზოგადოება. თუ გასულ წელს ეს ფესტივალი შედარებით მოკრძალებულად აღინიშნა, წელს დაგეგმილია მთელი პროგრამა. "ფესტიკვირ" - ეს არის თეატრალური საზოგადოების ფესტივალი, რომელიც აერთიანებს ჰომო-ლესბოსელთა მოტივებს.

როგორც ფესტივალის ორგანიზატორი ხაიმ ვიდერი აღნიშნავს, "ასეთი ფესტივალის იდეა წარმოშვა ერთ-ერთმა სპექტაკლმა, რომელშიც მე თავად ვთამაშობ და რომელსაც სხვადასხვა ქვეყნებში გასტროლების დროს გეი-ფესტივალებზე ვაჩვენებთ. შემდეგ დავფიქრდი: რატომ არ შეიძლება სწორედ ასეთი ფესტივალი ჩვენთან, ისრაელში გავმართოთ? ფესტივალის პროგრამაში ვაჩვენებთ ორ ორიგინალურ წარმოდგენას, ერთ სპექტაკლს კი წარმოადგენენ სტუმრები ამერიკიდან.

მაყურებელი ნახავს რონა იეოშუას დადგმას "კარადა", რომელშიც განსაზღვრულია ცხოვრების სხვადასხვა პერიოდები. სპექტაკლში თამაშობენ ხაიმ ვიდერი, ეინატ მაიან სეგელი და ეიალ ზმირი. ეს ძალიან თავისუფალი და გახსნილი სპექტაკლია ორიგინალური მუსიკითა და მოცეკვავეებით". 12 აგვისტოს ნაჩვენები იქნება სპექტაკლი "თომას დღეები", რომელშიც მომღერალი რიტა თამაშობს. ტალიკა ნინეს სპექტაკლი მოგვითხრობს ტელ-ავივის კომპანიის 18-დან 22 წლამდე ახალგაზრდების ისტორიას, რომლებიც შემთხვევით ხვდებიან ერთმანეთს და ერთიანდებიან ერთი მიზნისთვის - დაიცვან "ზეიტ-დრორი" განადგურებისგან. "ზეიტ-დრორი" - ეს არის მოზარდთა თავშესაფარი, რომელიც სექსუალური ორიენტაციის გამო მოხვდა განადგურების გეგმაში. ერთი კვირის განმავლობაში ისინი იღებენ ინფორმაციას ცისფერების შესახებ და ისმენენ საზოგადოების აზრს და დამოკიდებულებას მათი ორიენტაციის შესახებ. სპექტაკლში მონაწილეობენ: ადი კაზლოვსკი, ოფერ რეგირერი, თომერ ბუზმანი და ახალგაზრდების ჯგუფი "იგის ვარსკვალვები".

ამ დღესვე წარმოადგენენ ამერიკულ სპექტაკლს Letter to Harvey Milk, რომელშიც მონაწილეობენ არი ვინბერგომი და ახალგაზრდა ებრაელი ლესბოსელი ბარბარა, რომლებიც ირონიულად განიხილავენ ანტისემიტიზმისა და ჰომოფობიების ურთიერთობას. ხაიმ ვიდერი აღნიშნავს, რომ "ასეთი სახის ფესტივალი ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ჰომო-ლესბოსელების ორიგინალურ თემებზე ფაქტობრივად არაფერი არ იდგმება. ჩვენდა საბედნიეროდ, ასეთი თემები ისრაელის თეატრალური სცენისთვის უცხო არ არის. მჯერა, რომ "ფეტიკვირი" გაამართლებს და იგი კეთილ ტრადიციად იქცევა. მჯერა, რომ მაყურებელი ჰომო-ლესბოსელთა საზოგადოებას ობიექტურად შეაფასებს." მიუზიკლის დადგმა ტელ-ავივის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით ხორციელდება.

# კომიქსების გმირი



26 აგვისტოს ტელ-ავივში, "სინემატეკაში" გაიმართება კომიქსების, კარიკატურისტებისა და ანიმატორების მეექვსე ფესტივალი. ფესტივალი ეხება ლიბანის მეორე ომს. ერთ-ერთი მთავარი მოვლენა იქნება კარიკატურისტების მიშელ კიშკას, თალია ავივას, ური პინკას, მოშიკა ლევის და სხვათა გამოფენები, რომელიც გაიმართება "კომიქსრალას" სახელწოდებით, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოფენა ეძღვნება ლიბანისა და ქვეყნის სამხრეთით მომხდარ ფაქტებს.

"ჩვენ არ ვაპირებდით ბატონ ნასრალუს მოწვევას გამოფენაზე, მაგრამ რეალობა თავის პირობებს გვკარნახობს, რის გამოც ვერ შევძელით გაჩუმება, არ გამოგვეთქვა ჩვენი შეხედულებები ქაღალდზე ამ ომის შესახებ. კარიკატურისტების საუკეთესო ძალები მთლიანად იყო მობილიზებული", - განაცხადა ერთ-ერთმა კარიკატურისტმა დან პატირმა.

ფესტივალზე აგრეთვე წარმოდგენილი იქნება ამერიკელი ანიმატორის ბილ პლიმტონის ანიმაციური ფირი. ამ მიმართულებას გვერდი ვერ აუარეს ორგანიზატორებმა და ახალგაზრდა შემოქმედებმა. ფესტივალის სტუმრებს საშუალება ექნებათ ნახონ უცნობი ავტორების მულტიპლიკაციური ფილმები. მრავალრიცხოვანი ლექციები და შეხვედრები, რომლებიც გაიმართება ამ ფესტივალის ფარგლებში, მიეძღვნება ისეთ მუდმივ თემებს, როგორებიცაა ებრაელთა კატასტროფა და ანტისემიტიზმი. ერთი დღე ფესტივალის ორგანიზატორებმა დაუთმეს იაპონელ ანიმატორებს, რომელთა გამოფენა "სინემატეკას" წინ მდებარე მოედანზე გაიმართება.


# განცხადება ღია კონკურსის ჩატარების შესახებ

**სტრუქტურულ გარდაქმნათა ხელშეწყობის პროექტი**
კრედიტი N 32640
**საკონსულტაციო მომსახურება**

**საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი**, სტრუქტურულ გარდაქმნათა ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში, იწვევს გამოცდილ ინდივიდუალურ კონსულტანტებს მიიღონ მონაწილეობა ტენდერში **სტრუქტურულ გარდაქმნათა ხელშეწყობის პროექტის საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის კომპონენტის (შემდგომში "პროექტი") ფინალური შეფასების ანგარიშის შექმნის მიზნით.**

კონსულტანტმა უნდა წარმოადგინოს "პროექტის" მიმდინარეობის საბოლოო შეფასების ანგარიში, რისთვისაც უნდა განახორციელოს შემდეგი სამუშაოები:

- **წარმოადგინოს ანგარიშის მოკლე ვარიანტი (სადაც იქნება მითითებული ფინალური ანაგრიშის ძირითადი პრინციპები)**
- **გააკეთოს ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობისა და "პროექტის" დანერგვის პერიოდში არსებული ჯანდაცვის სისტემის ზოგადი მიმოხილვა;**
- **სქემატურად მიმოიხილოს ჯანდაცვის სექტორის მდგომარეობა "პროექტის" დანერგვამდე პერიოდში;**
- **ანალიზი გაუკეთოს "პროექტს" მისი მიზნებიდან გამომდინარე, კერძოდ;**
  (a) "პროექტის' მიზნების მიღწევის მიზნით რა იყო გათვალისწინებული /დასანერგი;
  (b) რა განხორციელდა, როდის და რომელ სექტორში/ქვე-კომპონენტში;
  (c) რა გეგმებია დასახული შემდგომი მიღწევებისათვის;
  (d) იმ პრობლემების იდენტიფიკაცია, რომლებიც დაფიქსირდა დანერგვის პერიოდში;
  (e) დასახული მიზნების შეფასება განსაზღვრული ინდიკატორებისა და შედეგების ანალიზის მეშვეობით.
- **შეაფასოს ადმიანური რესურსების მომზადებაში არსებული მიღწევები**
- **დააფიქსიროს "პროექტით" განსაზღვრული აქტივობებისა და რეფორმისPპოტენციური სიცოცხლეუნარიანობა**
- **განსაზღვროს მიღებული გამოცდილება და დასახოს სამომავლოდ მისი გამოყენების გზები.**

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

1. უმაღლესი განათლება შესაბამის (ჯანდაცვის) დარგში;
2. ჯანდაცვის სფეროს, განსაკუთრებით საავადმყოფოთა სექტორის, ცოდნა
3. მინიმუმ 5 წლის გამოცდილება პროექტების მონიტორინგისა და შეფასების დარგში;
4. მსგავსი საკონსულტაციო მომსახურების განსაზღვრულ დროში განხორციელების გამოხატული შესაძლებლობა;
5. სამუშაო გამოცდილება ცენტრალური ევროპისა და აზიის ქვეყნებში;
6. ანგარიშგების უნარი ქართულ და ინგლისურ ენებზე
7. საკომუნიკაციო კომპიუტერული პროგრამების ცოდნა.

**სამუშაოების ხანგრძივობაა 2 თვე.**

ადგილობრივი ინდივიდუალური კონსულტანტი შერჩეული იქნება მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოს მიხედვით: "დაქირავებულ კონსულტანტთა შერჩევა და სამუშაოზე აყვანა მსოფლიო ბანკისგან მსესხებლების მიერ", მეთოდი - "შერჩევა კონსულტანტის კვალიფიკაციაზე დაყრდნობით", 1997 წლის იანვარი (შესწორება - 1997 წლის სექტემბერი და 1999 წლის იანვარი). ინტერესის შემთხვევაში გამოგვეხმაურეთ წერილობით და ინტერესის გამოხატვის წერილს თან დაურთეთ:

1. რეზიუმე (ქართულ ენაზე);
2. დიპლომის/სხვა დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები
3. მსგავსი განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი
4. სულ ცოტა ორი სარეკომენდაციო წერილი.

ინტერესის წერილები უნდა წარმოადგინოთ **2006 წლის 30 აგვისტოს 17 სთ-მდე** შემდეგ მისამართზე:

**ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული,**
**საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი**
**ტელ/ფაქსი: +995 (32) 388210, 388220, 331939**
**ელ. ფოსტა: info@hpic.ge**
**საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი**



# სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" სატენდერო განცხადება

| | |
|---|---|
| **ქვეყანა:** | საქართველო |
| **სატენდერო წინადადების წარდგენის ბოლო ვადა:** | 2006 წლის 22 სექტემბერი, 17:00 სთ. (თბილისის დროით) |
| **პროექტის სახელწოდება:** | სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისთვის" (სგსე) ელექტრო გამანაწილებელი ქსელისათვის საჭირო მასალების შესყიდვა |
| **რეგ. N:** | BMZ - N 2002 65 983 |
| **სატენდერო პროცედურა:** | საერთაშორისო ტენდერი |
| **პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია:** | სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" (სგსე) |
| **დაფინანსება:** | სგსე-ს მიერ გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკიდან (KfW) მიღებული სესხი |

მოთხოვნები:

საქართველოს მთავრობამ KfW-სგან მიიღო სესხი, რომელიც გადაასესხა "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" პროექტის "ენერგოგამანაწილებელი სისტემის რეაბილიტაცია I" განსახორციელებლად. სესხის ნაწილით მოხდება წინამდებარე განცხადების საფუძველზე ჩატარებული ტენდერის შედეგად გაფორმებული ხელშეკრულებით შესყიდული საქონლის ღირებულების დაფინანსება.

სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" აცხადებს ტენდერს შემდეგ მოწყობილობებზე:

**1. ელ.ენერგიის აღრიცხვის ცალფაზა და სამფაზა ელექტრონული მრიცხველები, ავტომატური ამომრთველები, დენის ტრანსფორმატორები;**
**2. ძალოვანი და საკომუტაციო კაბელები;**
**3. ძალოვანი ტრანსფორმატორები, მაღალი ძაბვის დენისა და ძაბვის ტრანსფორმატორები, შრომის უსაფრთხოების საშუალებები და სხვა მასალები ელ.ენერგიის გამანაწიელებელი ქსელისათვის.**

საქონლის დეტალური ჩამონათვალი და ტექნიკური აღწერილობა მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია: ბ-ნ რეალ მეთიუ, ელ-ფოსტის მისამართი: real.mathieu@PAConsulting.com და გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას ქვემოთ მოცემულ მისამართზე.

თენდერის პირობები გულისხმობს "მოწოდებისა და მუშაობის კონტრაქტების აღსრულების სახელმძღვანელო პრინციპები განვითარებად ქვეყნებთან ფინანსური თანამშრომლობისას. (იხილეთ KfW-ს ვებ-გვერდი):

http://www.kfw-entwicklungsbank.de/DE-Home/Service/OnlineBibl48/PDF-Dokumente/Vergabe-E.pdf

ტენდერში მონაწილე დაინტერესებულ პირებს, ქვემოთ მოცემულ მისამართზე წერილობითი განცხადების წარდგენის საფუძველზე, შეუძლიათ შეიძინონ სატენდერო დოკუმენტაციის სრული პაკეტი ინგლისურ ენაზე, რომლის ღირებულებაა 200 ლარი ან 90 ევრო. აღნიშნული თანხა მათ უკან არ უბრუნდებათ. სატენდერო დოკუმენტაცია გაიგზავნება დაბეჭდილი სახით.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეიძლება შემდეგ მისამართზე:

რეალ მეთიუ
სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია"
მარჯანიშვილის ქ. N16ა
თბილისი, 0102, საქართველო



# ვაკანსია - უშიშროების საველე ოფიცერი

კომპანია BP-ს მილსადენების ექსპლუატაციის მიზნებისათვის, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს უშიშროების საველე ოფიცრის თანამდებობის დასაკავებლად. სამუშაოს შესრულების ადგილია BP-ს ექსპლუატაციაში მყოფი მილსადენები **აღმოსავლეთ საქართველოში.** უშიშროების საველე ოფიცერი წარმოადგენს საქართველოში BP-ს მილსადენების ექსპლუატაციის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს BP-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

**სამუშაოს აღწერა**

უშიშროების საველე ოფიცრის მოვალეობა იქნება საველე უშიშროების საკითხების კონტროლი და ამ საკითხებში სათანადო გარანტიების შექმნა და რჩევების მიცემა BP-ს ხელმძღვანელობისათვის. მითითებისამებრ, იგი კოორდინირებას გაუწევს უშიშროების დაცვის ღონისძიებებს ამ მიზნით გამოყოფილი *მოქმედების არეალის* ფარგლებში. მისი მოვალეობები და პასუხისმგებლობები გავრცელდება კომპანია "BP-საქართველოს" და კონტრაქტორების ყველანაირ საქმიანობაზე უშიშროების სფეროში, მთელი ქვეყნის მასშტაბით.

**ძირითადი მოვალეობები და პასუხისმგებლობები**

უშიშროების საველე ოფიცრის მოვალეობებში შედის:

- ყოველკვირეული კავშირი იქონიოს ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანოებთან, უშიშროების მხრივ შექმნილი მდგომარეობის გარკვევის მიზნით, და შედეგები ასახოს ყოველდღიურ მოხსენებებში. გააღრმავოს ურთიერთობა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ყველა სამსახურთან, მათგან სათანადო დახმარების მიღების პროცესის გაუმჯობესების მიზნით.
- დაამყაროს და მუდმივად იქონიოს მჭიდრო სამსახურებრივი ურთიერთობა სტრატეგიული მილსადენების დაცვის ადგილობრივ სამმართველოსთან, საზღვრის დაცვის სამსახურთან და *მოქმედების არეალში* არსებული სამხედრო ნაწილების მხედრობასთან.
- *მოქმედების არეალში* მოიპოვოს და დაამუშავოს სიტუაციური ინფორმაცია და ანალიზის შედეგები აცნობოს "BP-საქართველოს" უშიშროების სფეროს ხელმძღვანელებს და შესაბამის საველე თანამშრომლებს. განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს ტერორისტულ საქმიანობასა და დამნაშავეობაზე.
- მოთხოვნის შემთხვევაში, მოახდინოს უშიშროების საფრთხეების შეფასება, საკუთარი *მოქმედების არეალის* ფარგლებში.
- იქონიოს კავშირი, უხელმძღვანელოს და საჭიროების შემთხვევაში ჩაუტაროს ტრენინგი *მოქმედების არეალში* კონტრაქტით მომუშავე უშიშროების სამსახურების თანამშრომლებს, რათა მათი მოქმედებები შესაბამისობაში იყოს BP-ს უშიშროების სტანდარტებთან და პროცედურებთან.
- იქონიოს მჭიდრო კავშირი "BP-საქართველოს" საველე კონტიგენტთან, მათ შორის, ექსპლუატაციის ტექნიკოსებთან, ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის ოფიცრებთან და მიწის საკითხებზე მომუშავე ჯგუფის წევრებთან. საჭიროებისამებრ მიაწოდოს მათ ინფორმაცია უშიშროების მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ.
- შესაბამისი მითითების მიღების შემთხვევაში, საგანგებო სიტუაციებში, *ინციდენტის მართვის ჯგუფს* და საველე თანამშრომლებს მიაწოდოს რჩევები და აღმოუჩინოს დახმარება.
- იმოქმედოს "BP-საქართველოს" უშიშროების სამსახურის სახელით, საპროტესტო აქციების და სხვა სამოქალაქო არეულობების დარეგულირების დროს.
- დადგენილი პროცედურების შესაბამისად, შეადგინოს ყოველდღიური საქმიანობის ამსახველი წერილობითი ანგარიშები.
- უზრუნველყოს პირველადი რეაგირება უშიშროების კუთხით "BP-საქართველოს" საქმიანობის პროცესში მომხდარ საავტომობილო ავარიებზე.
- ჩაატაროს გამოძიება და/ან დახმარება აღმოუჩინოს გამოძიების ჩატარების პროცესში, ხელმძღვანელობიდან მიღებული ინსტრუქციის შესაბამისად.
- ზედამხედველობა და კონტროლი გაუწიოს დიზელის/საწვავის მოხმარების კონტროლს.
- დაიცვას და გაატაროს BP-ს ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ტექნიკის დაცვის პოლიტიკა.
- უზრუნველყოს რეგულარული კოორდინაცია *მოქმედების არეალში* მომუშავე ქვეკონტრაქტორის უშიშროების პერსონალთან.
- საჭიროებისამებრ შეასრულოს სხვა დავალებები და მითითებები, ექსპლუატაციის ნაწილის და პროექტის საქმიანობაში დახმარების მიზნით.

**მოთხოვნები:**

კანდიდატს მოეთხოვება:

- სამხედრო, უშიშროების სამსახურში ყოფნის ან პოლიციაში მუშაობის გამოცდილება;
- ცოდნა და გამოცდილება რისკის ანალიზის და რისკის მენეჯმენტის სფეროებში;
- ქვეყნის მასშტაბით პოლიტიკური და უშიშროების მდგომარეობის შესახებ კომპეტენტური ინფორმაციის ფლობა;
- ავტომობილის მართვის მოქმედი მოწმობა;
- ქართული, ინგლისური და რუსული ენების თავისუფლად ფლობა;
- კომპიუტერული პროგრამების - MS Word, Excel, PowerPoint, MS Outlook - გამართული ცოდნა;
- კომუნიკაციის კარგი უნარი და გამორჩეული ორგანიზაციული უნარ-ჩვევები, დაკვირვების და დამოუკიდებლად მუშაობის უნარი, მინიმალური ზედამხედველობის ქვეშ, რთული კლიმატის და რელიეფის პირობებში, მათ შორის, ქალაქგარეთ, მოშორებულ და დაუსახლებელ ადგილებში.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა **2006 წლის 9 აგვისტო, ოთხშაბათი.**

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შეთავაზებას.**

**კადრების დეპარტამენტი**
BP Georgia
საქართველო, თბილისი,
საბურთალოს ქუჩა N38

მოკლედ

## პაველ სანაევის ახალი ფილმი

"უკანასკნელი უიკენდის" ავტორმა პაველ სანაევმა ახალ ფილმზე დაიწყო მუშაობა. ფილმი, რომლის სახელწოდებაა "ნულოვანი კილომეტრი", ორი ახალგაზრდის შესახებ მოგვითხრობს. ისინი პოპულარობის მისაღწევად მოსკოვში ჩადიან. ერთ-ერთ გმირს ბალერინა შეუყვარდება და არჩევანის წინაშე აღმოჩნდება.

"გახდე მოღალატე და ღალატი სხვას აპატიო, გახდე მკვლელი და სიკვდილს გადაურჩე, ცხოვრებაში მთავარი შანსი მიიღო და ეს შანსი სიყვარულს შესწირო მსხვერპლად", - ასეთია ფილმის გმირების ხვედრი. **ჯი-ეიჩ-ენი**

## გამომცემლობა "არტანუჯმა" სიმფონია-ლექსიკონი გამოსცა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით გამომცემლობა "არტანუჯმა" გამოსცა "ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების" სიმფონია-ლექსიკონი (I ნაწილი; ა-ლ).

წიგნი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ძველი ქართული ფილოლოგიის განყოფილებაში ლიანა ახობაძის, ნარგიზა გოგუაძის, მანანა კვაჭაძისა და ნინო ნატრაძის ხელმძღვანელობით მომზადდა;

ნაშრომი მოიცავს ყველა ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებს "შუშანიკის წამებიდან" - XIII საუკუნის თხზულებებამდე. როგორც ლექსიკონის ავტორებმა განაცხადეს, წიგნი საშუალებას იძლევა თვალი ვადევნოთ რვა საუკუნის მანძილზე მომხდარ ცვლილებებს როგორც მორფოლოგიურ ფორმათა განვითარებაში, ისე ლექსიკაში. "კონკორდანსებს ანუ სიმფონიებს პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდათ: სხვადასხვა ხასიათის წმინდა წიგნებში სათანადო ადგილის სწრაფად მოძებნა. მოგვიანებით ისინი ლექსიკური ფონდის შესწავლის საუკეთესო საშუალებად იქცნენ," - განაცხადა ლიანა ახობაძემ.

მისი თქმით, სიმფონიების შედგენას ქართული თანამედროვე ენათმეცნიერული სკოლის ჩამოყალიბებისთანავე მიექცა ყურადღება.

ენათმეცნიერული მუშაობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან წიგნებად იქცა ივ. იმნაიშვილის "ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი" და "ვეფხისტყაოსნის სიმფონია" (მომზადდა აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით). აკაკი შანიძემ დასაბეჭდად მოამზადა ახალი აღთქმის დარჩენილი ნაწილის სიმფონია, რომელიც დღემდე გამოუქვეყნებელია.

ლიანა ახობაძის განცხადებით, ქართული ენის კომპიუტერული ბანკის შექმნა მკვლევარებს უახლოესი მომავლის საქმედ არ ესახებათ, თუმცა, მანამდე ენის ისტორიის გაღრმავებული შესწავლისთვის აუცილებლად მიიჩნევენ უმნიშვნელოვანესი ქართული ძეგლების სიმფონიათა დასტამბვას. **"ინტერპრესნიუსი"**

## გრანტების კონკურსი კინომოღვაწეებისთვის

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი 2006 წლის სექტემბერში აცხადებს კონკურსს კინომოღვაწეებისთვის სამგზავრო გრანტების მოსაპოვებლად.

კონკურსის პირობების თანახმად, მოთხოვნილი თანხა 1500 ლარს არ უნდა აღემატებოდეს. გრანტი მხოლოდ მგზავრობის ხარჯებს ითვალისწინებს.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს: მოწვევა შესაბამისი ორგანიზაციიდან, წასვლის მიზნის წერილობითი აღწერა, მგზავრობის ხარჯი.

განაცხადები მიიღება 20 აგვისტომდე საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრში. **ინტერპრესნიუსი**

## საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

2006 წელს დოკუმენტური ფილმის წარმოების დასაფინანსებლად

გამარჯვებული პროექტი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 75%-ით.

კონკურსის საერთო ბიუჯეტია 100 000 (ასი ათასი) ლარი.

ფილმის ქრონომეტრაჟი არ უნდა იყოს 26 წუთზე ნაკლები.

ეროვნული კინოცენტრი არ განიხილავს პროექტებს, რომლებიც მონაწილეობდნენ 2005 წლის 26 აპრილს გამოცხადებულ დოკუმენტური ფილმების კონკურსში (N 03) და ვერ მოაგროვეს 45 ქულაზე მეტი.

ეროვნული კინოცენტრი არ განიხილავს იმ პროდიუსერთა პროექტებს, რომელთაც ეროვნული კინოცენტრის წინაშე აღებული ვალდებულება შესრულებული არ აქვთ.

პროექტი უნდა განხორციელდეს 2006 წლის 20 დეკემბრამდე პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 2006 წლის 7 აგვისტო 17:00 სთ.

კონკურსების პირობების გაცნობა შესაძლებელია ეროვნულ კინოცენტრში ან ეროვნული კინოცენტრის ვებგვერდზე.

კონსულტაციები ჩატარდება ყოველ სამშაბათს, 12 საათზე საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი.

0105 თბილისი, მარჯვენა სანაპიროს 4,

ტელ/ფაქსი: 98 42 01 E-mail: o www.filmcenter.ge

## საკონკურსო განცხადება

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელი თანამდებობების დასაკავებლად:

- **ისტორიის განყოფილების უფროსი/მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;**
- **ეთნოლოგიისა და კულტურული ანთროპოლოგიის განყოფილების უფროსი/მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;**
- **ფოლკლორისა და ლინგვისტიკის განყოფიელბის უფროსი/მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;**
- **ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობათა კვლევის განყოფილების უფროსი/მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.**

საკონკურსო განცხადების წარდგენის ბოლო ვადაა 31 აგვისტო.

მისამართი: ბათუმი, ნინოშვილის ქ. N23,
ტ. (+995 222) 7-28-92, (+995 222) 7-28-95

კონკურსის შესახებ დეტალური ინფორმაცია განთავსებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისროს ოფიციალურ ვებგვერდზე: http:/www.mes.gov.ge

საკონტაქტო პირი: ეთერ ხეცოიძე

**ქირავდება 4930 მ² ფართი, საოფისე ფართი 230 მ², 3300 მ² ეზოთი, 800 მ² სასაწყობო ფართით, 600 მ² საწარმოო ფართით, აეროპორტის დასახლებაში. ფასი 2500$. ტელ: 899516312.**

## ჟან-პოლ ბელმონდოს ორდენი



ჟან-პოლ ბელმონდომ მიიღო ხელოვნებისა და ლიტერატურის ორდენი. ეს ორდენი მას გადასცა საფრანგეთის კულტურის სამინისტრომ. ბელმონდო მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც 1959 წელს ჟან-ლიუკ გოდარმა გადაიღო თავის ფილმში "უკანასკნელ ამოსუნთქვამდე", ხოლო ფილმში "ადამიანი რიოდან" ფილიპ დე ბროკმა მასში კომედიანტის არაჩვეულებრივი ტალანტი აღმოაჩინა. სულ მსახიობი 90-მდე ფილმშია გადაღებული. სათავგადასავლო როლებში მას ძალზე იშვიათად ცვლიდნენ კასკადიორები. სპორტის საფრანგეთის აკადემიამ ბელმონდო თავის აკადემიკოსადაც კი აღიარა.

ბელმონდოსთან ერთად ეს ორდენი მიიღო მილენ დემონჟომ. ფრანგული კინოს მოყვარულებისთვის დემონჟოც ასევე კერპია. მას წარმატება მოუტანა ძველმა როლებმა "მშვიდობით, მოწყენილობავ", "სამი მუშკეტერი" და ცნობილმა სერიალმა "ფანტომასმა". მისი ბიოგრაფია კინოში მწირი, მაგრამ საინტერესოა. 2001 წელს დემონჟომ გამოუშვა მემუარების წიგნი "საიდუმლო ყუთები".

ხელოვნებისა და ლიტერატურის ორდენი 1957 წელს დაარსდა. ბოლო წლებში ამ ფრანგული ორდენით სხვებთან ერთად დაჯილდოვდნენ ალექსანდრ სოლჟენიცინი და მსტისლავ როსტროპოვიჩი.

## ჯგუფი "დაგ ნახაშ"



ებრაული ჯგუფი "დაგ ნახაშ" მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო ფესტივალზე. როგორც ფესტივალის ორგანიზატორები აღნიშნავენ ამ სეზონზე ეს არის ყველაზე ღირებული ფესტივალი. ჯგუფმა "დაგ ნახაშმა" გადადო წმინდა მიწაზე ყველა თავისი კონცერტი და ისრაელში უახლოეს მომავალში არანაირი მუსიკალური საღამოები არ არის დაგეგმილი. გამომდინარე აქედან მუსიკის მოყვარულები ამჯერად მხოლოდ საერთაშორისო ფესტივალებზე ფიქრობენ.

მუსიკის კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ფაქტი ამ სეზონზე იქნება საერთაშორისო ფესტივალი SZIGET, რომელიც ბუდაპეშტში 9-16 აგვისტოს გაიმართება. ფესტივალზე მონაწილეობას მიიღებენ დიდი სახელები: ბრიტანული ჯგუფები: "რეიდიოჰედი" და "პლასებო", აგრეთვე Rasmus, Therapy?, იგი პოპი და სხვები.

ამ ფესტივალზე ისრეალს ორი ჯგუფი წარმოადგენს. პირველი ჯგუფი არის "ბაიახად" ("ერთად"), რომელიც შეასრულებს ეგვიპტის, პალესტინის, სირიის და ლიბანის ტრადიციულ მელოდიებს. ამ ჯგუფის წევრები მუსიკას კამერული ორკესტრის საშუალებით შეასრულებს. მეორე ჯგუფი კი ისრაელში კარგად ცნობილი "დაგ ნახაშ"-ია. ამ ჯგუფის წევრები ასრულებენ პოლიტიკური მიმართულების სიმღერებს, რომლებიც იუმორისტულ სტილში გადაყავთ. ჯგუფმა ამ ზაფხულს რამდენიმე საერთაშორისო ფესტივალზე მიიღო მონაწილეობა, თუმცა SZIGET ყოველგვარი ეჭვის გარეშე მათი კარიერისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება.

## ყველაზე კარგად ჩაცმული ვარსკვლავები




ამერიკაში, ჟურნალმა Vanity Fair-მა 67-ედ გამოაქვეყნა ყველაზე კარგად ჩაცმული ვარსკვლავების სია. პირველ ადგილზე გავიდა მოდელი ქეით მოსი. ჟურნალმა მისი ფოტო სექტემბრის ნომრის გარეკანზე განათავსა - ქეით მოსი თეთრი ქუდითა და დიდი თეთრი ხელთათმანებით. ეს ქეით მოსის მეორე გამოჩენაა გასული წლის კოკაინის სკანდალის შემდეგ. შეგახსენებთ, რომ შარშან ქეით მოსი მეგობარ პიტ დოჰერტისთან ერთად ნარკოტიკის მოხმარებისთვის დააკავეს. ფოტოები მსოფლიოს ყველა გაზეთში მოხვდა და მოსმა რამდენიმე გრძელვადიანი კონტრაქტი დაკარგა. მოდელმა გამონახა საკუთარ თავში ძალა, არა მარტო ეღიარებინა დანაშაული და ბოდიში მოეხადა ყველასთვის, ვისაც ეს ამბავი შეაწუხებდა, არამედ ამერიკის ცნობილ კლინიკა "მიდოუსში" სასწრაფო მკურნალობაც ჩაეტარებინა, რომ გათავისუფლებულიყო ნარკოტიკების ზემოქმედებისგან. ასე რომ, კლინიკამ გასულ წელს მიიღო ყველაზე დიდი შემოსავალი თავისი არსებობის იტორიაში.

ჟურნალის სიაში მოსის გარდა მოხვდნენ აგრეთვე მსახიობი ჯორჯ ქლუნი, ტელეწამყვანი ოფრა უინფრი, მსახიობი რენე ზელვეგერი, მომღერალი გვენ სტეფანი, აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი, რეჟისორი სოფია კოპალა, პრინცი უილიამი და იორდანიის დედოფალი რანია.

## მარგარეტ ტეთჩერი



დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის მარგარეტ ტეთჩერის ახალი პორტრეტი წარმოადგინეს ლონდონის ფართო საზოგადოების წინაშე. პორტრეტი დამზადებულია რკინის შავი ფირფიტისგან. პრეზენტაციაზე, რომელიც გაიმართა ქალაქის ყველაზე მდიდრულ სასტუმრო "დორჩესტერში", მონაწილეობას იღებდა თავად 80 წლის ბარონესა. "მოხერხებული და მოულოდნელია", - ასე შეაფასა მან 28 წლის მხატვრის ბენჯამენ შაინის ნამუშევარი და დაამატა: "ნუთუ ეს მე ვარ?"

მარგარეტ ტეთჩერი ბრიტანეთის ხელისუფლებას მართავდა 1979-დან 1990 წლამდე და მიიღო "რკინის ლედის" მეტსახელი. გასული წლის 13 ოქტომბერს მან აღნიშნა თავისი 80 წლის იუბილე. თუმცა ბოლო დროს ჯანმრთელობა საგრძნობლად შეერყა - გადაიტანა რამდენიმე ინსულტი. ექიმებმა აუკრძალეს საზოგადოებრივ თავყრილობებზე გამოსვლა.

## სტუდია "რეპორტიორის" ახალი ფილმი

დღეს კინოს სახლში გაიმართება პრეზენტაცია სტუდია "რეპორტიორის" ახალი ფილმისა "მიართვით კუბდარი მინისტრს".

ფილმი ეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2004 წლის 24 მარტს მესტიის რაიონის სოფელ ეცერში ჩატარებულ სპეცოპერაციას, რომლის დროსაც დაიღუპნენ მამა-შვილი ევგენი და ომეხ აფრასიძეები, ხოლო გოჩა და შმაგი აფრასიძეები დააპატიმრეს. მათ სასამართლომ 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ფილმი "მიართვით კუბდარი მინისტრს" 35-წუთიანია. ჩვენებაზე მიწვეულნი არიან არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოების წარმომადგენლები. ჩვენების დასასრულს გაიმართება დისკუსია.

ამასთან, 7 აგვისტოს ნაჩვენები იქნება სტუდია "რეპორტიორის" მომავალი ფილმის ანონსიც. ფილმი ეხება 2 მაისს თბილისში, ჩოგბურთის კორტებთან ჩატარებულ სპეცოპერაციას, რომლის დროსაც შს სამინისტროს სპეცრაზმმა ადგილზე მოკლა ზურაბ ვაზაგაშვილი და ალექსანდრე ხუბულოვი, ბონდო ფუთურიძე კი მძიმედ დაიჭრა. **ჯი ეიჩ ენი**

## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



გთავაზობთ:

- ■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- ■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- ■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- ■ "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- ■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge





## "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

**გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:**

**- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით**

**(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)**
**- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები**
**- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები**
**- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა**
**- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა**
**- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება**
**- სარძევე ჯირკვლის აწევა**
**- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)**
**- შუბლის დაჭიმვა**
**- დაკიდებული მუცლის პლასტიკა**
**- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)**
**+ ლიპოსაქცია**
**- ტუჩების გადიდება**
**- კანის ნაოჭების კორექცია**
**- ნიკაპის გადიდება პროთეზით**
**- სახის დაჭიმვა**
**- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)**
**- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით**

**ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე:** **893 60 30 06**
**893 65 38 39**



## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**